ვერსია

ფასი 50 თეთრი

№81 (1107) 20 - 21 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დიცო გელოვანი

შეტევა, წაგლეჯვა, ხიშტი

ის, რაც ხდებოდა წინა ჰვირაში

გვ. 2

„იმას მოვყვები, რაც არასოდეს მომიყოლია!“

„ბიძინა ძალიან „ნი ჩესტნად“ მოიქცა, თამაშის წესები დაარღვია – გარეწრებს შეეკრა!“

„ჯერ საბრძოლველი მაქვს და საკუთარ თავთან რა კრიზისიც უნდა შემექმნას, ამ ბრძოლას ირაკლისთან ერთად გავივლი! როცა ირაკლიზე საქმის აღძვრა გადაწყვიტა, ბიძინამ ცეცხლი გამიხსნა! არადა, ამის საჭიროება არ იყო, თან ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთი სპეცოპერაციის დროს, ირაკლის ძალიან გულშემატკივრობდა“

პარა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

გვ. 4–5

რატომ ეძახდნენ ნანუკა ჟორჟოლიანს ნაციონალები გიჟს

ბოზი „ბლატაში“

გვ. 9

პატიმრის დღიური

როგორ „შეაწერა“ პატიმარმა ნაციონალებს ესპანეთის საგზური

შალვა ობგაიძე: „მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვას თბილისის მერიას არავინ ჰკითხავს!“

ძველ თბილისში ბინები დღე-დღეზე ჩამოინგრევა!

ყავლაშვილისა და ვერცხლის ქუჩების მოსახლეობა დახმარებას ითხოვს!

გვ. 7

ვის აწყობს ვეტო ეროვნული ბანკის კანონზე

გვ. 3

დიტო გელოვანი

ციხეში თერძად მომუშავე პატიმარს ხალხი შემოეკრიბა და ამბობდა: „კაცო, თვე არ გავა, სამი-ოთხი თუმანი ფული არ გავაკეთო. რაც იყო, ძალიანაც კარგი იყო. ეხლა რა, უკეთესი ციხე იქნება? ნახე, რა დღეში ჩაგვაგდონ!“ „ნუ გეშინია, სანამ მეფის ხელისუფლება იქნება, ციხეც იქნება. კერე და იყავი“, — მიუგო ვიღაცამ. მეორეგან იმაზე საუბრობდნენ, თუ როგორ მოეწყოთ მასობრივი გაქცევა. „მე ამათი აყალმაყალი ფეხებზეც არ მკიდია, თავისუფლებაში გასვლა მინდა. არა, ამათმა მზემ, ათი წელი აქ ვიყო, არა?!“ „ხალხს დააცადე, — თქვა მეორემ, — ხალხი მამაძაღლია, თავის საქმე იცის. ისე უნდა მოიქცე, რომ ხალხის მხარეზეც იყო და უფროსებმაც ვერ დაგინახონ. გამოვა რამე — შენთვისაც იქნება, არ გამოვა და, ისევ ისა ხარ, რაც იყავი!“

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

შეტენვა, წაგლეჯვა, ხიშტი

ხალხი მამაძაღლია... შიშიც მამაძაღლია. შეშინებული ხალხი ორგზის მამაძაღლია. მამაძაღლი ხომ ისედაც მამაძაღლია, მაგრამ თუ საკუთარ თავს ხალხს უწოდებს, მამაძაღლზე მამაძაღლია. უმამაძაღლესი! თქვენო უმამაძაღლესობავ!..

მიშა მამაძაღლია. ბარნოვიც მამაძაღლია.

თქვენო უმამაძაღლესობავ!!!

გასულ კვირაში ბარნოვი კიდევ უფრო მეტად, ვიდრე როდესმე, ჰგავდა ლომის ბრძანების („ტყეში მოსაქმება სასტიკად იკრძალება“) მსხვერპლს, გადამუშავებული საკვებით გაბერილ ბეღურას, რომელიც ლომს შეცდომით ბუ ეგონა.

ის ბარნოვი კი არა, ეს ბარნოვი უნდა გაყო შუაზე, სწორედ იმ ადგილზე, დონაძესა და მისნაირებს მრგვალ ბაღად რომ ეჩვენებათ. უნდა გაყო და, ერთი ნახევარი გურამ დონაძეს მიუგდო, მეორე — ირაკლი ვაჭარაძეს. დაყავი და აბატონე!

ძველს გავიხსენებ...

„სად შოულობს ეს ხალხი ამ ჯადოსნურ ჯოხებს?! საერთოდაც, ძალიან საინტერესოა იმ კონკრეტული ჯადოსნური ჯოხის ისტორია. მის შესახებ ცოტა რამ თუა ცნობილი. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, ამ ჯადოსნური ჯოხით ერთი ჟურნალისტი შეეხო ანდრო ბარნოვს და ერთი ჩვეულებრივი, სხვაზე ოდნავ მეტად ნაკითხი ბიჭი უცებ ექსპერტად იქცა. გასულ კვირაში კი იმავე ჯოხით ანდრო ბარნოვს შეეხო ბაჩო ახალაია და ერთი, სხვაზე ნაკლებად ნაკითხი ექსპერტი უცებ თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორად მოგვევლინა. „ის საკმაოდ დიდი ხანია, თანამშრომლობს ჩვენთან არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმატით ამ ყველაფერმა შედეგად მოიტანა ის, რომ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ჩვენ პატივი გვაქვს, ბატონი ანდრო ჩაუდგეს სათავეში თავდაცვის ეროვნულ აკადემიას“, – გვახარა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ნოდარ ხარშილაძემ. არადა, წინა დღეს ასეთი ნიუსი იყო: „ბაჩო ახალაიამ არასამთავრობოებს ვაზიანის ბაზაზე უმასპინძლა”. ნიუსში იყო ასეთი წინადადება: „ასეთი სახის შეხვედრები ძალიან პროდუქტიულია. არასამთავრობოებს აქვთ საშუალება, მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით“, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ექსპერტმა ანდრო ბარნოვმა“. მერე იტყვიან, ჯადოსნური ჯოხი არ არსებობსო... როგორ არ არსებობს! არსებობს, ოღონდ, ძალზე მცირე რაოდენობით. ბარნოვს კიდევ ბევრჯერ შეეხებიან სხვადასხვა ზომის ჯოხით, ოღონდ, არა მგონია, რომელიმე მათგანი ჯადოსნური იყოს”.

ეს ზუსტად ხუთი წლის, ერთი თვისა და ერთი კვირის წინ დავწერე, როცა არასამთავრობოები სამთავრობოები იყვნენ. თამამად შეიძლება ითქვას, გასული კვირა ისტორიაში ანდრო ბარნოვის ნიშნით, ორი ნულით შევა და ამ ქვეყანას პატრონი რომ ჰყავდეს, წესით, რიგით და, რაც მთავარია, კანონით, ბიბლიოთეკარი ბარნოვი ქათმების საკანში უნდა იჯდეს (გაბერილი ბეღურების საკანი არ არსებობს) და იქაურ მამლებს ემსახურებოდეს.

ამ ქვეყანაში სულ რამდენიმე ათეული ადამიანია, ვისაც უფლება აქვს, პოლიციელს, სამართალდამცველს, ელაპარაკოს ისე, როგორც ხურვალეთში ბარნოვი ელაპარაკებოდა პოლიციელს და, რაც ყველაზე საინტერესოა, ყველანი ნაცები არიან. რა მოხდებოდა, პოლიციელს ბარნოვი პანღურისკვრითა და კისერში წათაქებით წინადაკავების საკანში რომ შეეგდო?

რა მოხდებოდა და, აღშფოთდებოდნენ არასამთავრობოები (რადგან ნაცებისგან ფინანსდებიან), შეშფოთდებოდნენ ტელევიზიები (რადგან ნაცები აკონტროლებენ), პროკურორი ბრალს არ წაუყენებდა და მოსამართლე არ მიუსჯიდა, რამეთუ პროკურატურაც და სასამართლოც ჯერ კიდევ ნაცების ხელშია.

მე ის მიკვირს, ბარნოვი გუბერნატორად, გამგებლად, მინისტრად ან რომელიმე სახელმწიფო უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელად აქამდე რომ არ დაინიშნა.

ანდრო ბარნოვის ნიშნით, ორი ნულითაა აღბეჭდილი ქართული სახელმწიფო, რომლის გერბზეც, წესით, ორი ლომის ნაცვლად ორი ნული უნდა ეხატოს, „ძალა ერთობაშია“ უნდა წავშალოთ და „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“ უნდა დავაწეროთ. ისე, თუ გერბზე ლომებს მაინც დავტოვებთ, ისინი (ლომები) ერთმანეთს თათებიდან სუპერთასის ბილეთს უნდა გლეჯდნენ.

ასეთია დღევანდელი საქართველო და კაცობრიობამ მადლობა თქვას, სხვა საქართველო არსად რომ არ არის. შესაბამისად, არსად, საქართველოს გარდა, არ არის ჩემი მეგობარი სააგენტო, რომელიც გასულ კვირაში, კერძოდ — შაბათს, იუწყებოდა, რომ „შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ“.

აი, იმ განცხადების ელემენტარული ნაწილაკები: „დღეს, 18 ივლისს, 18.00 საათზე, მთავრობის კანცელარიის შენობასთან რამდენიმე მედია და არასამთავრობო ორგანიზაციის აქცია Stop Russia არის დაგეგმილი. აქციის ორგანიზატორებს დილიდან პოლიცია არ აძლევს უფლებას, ტერიტორიაზე მოაწყონ სცენა. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება კონსტიტუციის 25-ე მუხლითაა გარანტირებული და მისი შეზღუდვა სახელმწიფოს არ შეუძლია, თუ აქციამ კანონსაწინააღმდეგო სახე არ მიიღო. მედიით გავრცელებული ცნობებით ირკვევა, რომ ორგანიზატორებს ვერ დაუსახელეს კონკრეტული და საფუძვლიანი მიზეზი, თუ რატომ არ შეუძლიათ ადგილზე სცენის გამართვა... მიგვაჩნია, რომ ადგილზე მობილიზებული პოლიცია უკანონოდ ზღუდავს აქციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც აქციის ორგანიზატორებმა, კანონის დაცვით, კანცელარიას შეტყობინება 5 დღით ადრე გაუგზავნეს. მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, დროულად მოახდინოს რეაგირება და უზრუნველყოს მანიფესტანტთა უფლებების დაცვა“.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, გერმანიაში, დააპატიმრეს 94 წლის მოხუცი, ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკის ბუღალტერი... ეს, ისე, ინფორმაცია განსჯისთვის, ოცნებისთვის, თუნდაც — ქართული ოცნებისთვის.

რაც შეეხება ენჯეოშნიკების განცხადებას, ეს განცხადება დაპირებით სრულდება: „დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს არასამთავრობო ორგანიზაციები მოგვიანებით უფრო ვრცელი განცხადებით გამოეხმაურებიან“.

ბეჭი არ ამოიგდოთ — ეს რჩევა მათთვის არის განკუთვნილი, ვინც ამ განცხადებას აწერს ხელს. შეხვედრის ადგილი უცვლელია, ტონი უცვლელია, პატრონი უცვლელია და უცვლელია ხელმომწერთა ჩამონათვალიც: საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), იდენტობა, მედიის განვითარების ფონდი (MDF), სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA), საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (GISS), დემოკრატიისა და სტრატეგიული კვლევების ცენტრი (CDSS), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), Voice from Georgia, GeorgianReview.ge, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

ბინძურო მიხეილ, რა ასწავლე ამისთანა იმ სასწავლებელში!

სახელები ჰქვიათ — იტირებ! იმის ინსტიტუტი, ამის ინსტიტუტი, ისეთი ინიციატივა, ასეთი სააგენტო და, რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, ინსტიტუტია, ინიციატივა თუ სააგენტო, ყველა არის ცენტრი, მთელი ინფორმაცია იქ იყრის თავს, ქვეყნის საუკეთესო ტვინები ზრუნავენ ეკონომიკურ, იურიდიულ და დემოკრატიულ განვითარებაზე, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა გრანტი აქვთ აღებული. გრანტიდან გრანტამდე კი ჯოკერს თამაშობენ — შეტენვა, წაგლეჯვა, ხიშტი, ვიში კოზირები, ნიჟე...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი ორგანიზაცია — „სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი“ (GISS) და „დემოკრატიისა და სტრატეგიული კვლევების ცენტრი“ (CDSS). იმან დემოკრატიაზე ვერ გაქაჩა და მხოლოდ სტრატეგია აირჩია, ეს ცდილობს, სტრატეგიაც იტვირთოს და დემოკრატიაც. დანამდვილებით შეიძლება ითქვას — განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში იქაურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა იციან, რომ ჰიპოტენუზის კვადრატი უდრის კათეტების კვადრატების ჯამს და მხოლოდ ქართველი ენჯეოშნიკები ამტკიცებენ, რომ ჰიპოტენუზის კვადრატი კათეტერების კვადრატების ჯამის ტოლია, ამიტომაც ისინი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, ესენი კი — ენჯეოშნიკები.

კიდევ ის არის განსხვავება, რომ იქაურ აქციას ალენ დელონი უძღვება, აქ ჩატარებულს — მიშა მშვილდაძე, იქაური უფლებადამცველები მართლა უფლებადამცველები არიან, აქ კი... „აქცია მიშა მშვილდაძეს მიჰყავდა. აქციის ორგანიზატორებმა მთავრობის ადმინისტრაციის წინ შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს. მათ შორის იყვნენ ევროკავშირში საქართველოს ყოფილი ელჩი სალომე სამადაშვილი, თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის დეკანი გიგა ბედინეიშვილი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი ნინო დანელია, „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი, რეფორმების ასოციაციის წარმომადგენელი პაატა გაფრინდაშვილი, ადვოკატი ოთარ კახიძე, იურისტი გიორგი მშვენიერაძე, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, ჟურნალისტი ირაკლი კიკნაველიძე, ასევე გადაცემა „მძიმე კაცის“ წამყვანი დავით კოვზირიძე, უფლებადამცველი გიორგი ტუღუში“.

უფლებადამცველი გიორგი ტუღუში!!! ეს იგივეა, რაც ფეხბურთელი დავით კირკიტაძე, პოეტი დავით გოგიბედაშვილი, როკვარსკვლავი ნინა წკრიალაშვილი და ტოპმოდელი ხათუნა გოგორიშვილი.

მაგარი პროვინცია ვართ. თითქოს ვცდილობთ რაღაცას, მაგრამ არ გამოგვდის. ალენ დელონისა და მიშა მშვილდაძის შედარებითი დახასიათება წაკითხული გაქვთ, ანჯელინა ჯოლისა და თამარ ჩერგოლეიშვილის შედარებითი დახასიათება ახლა იწერება. რიგში დგას ხელოვნებისა და ნარკოტიკების თემა, რადგან გასულ კვირაში დააკავეს კახა მამულაშვილი.

შემჩნეულია, რომ სამართალდამცველები განსაკუთრებით მტრობენ ხელოვნების კორიფეებს. თავის დროზე, ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დაკავებულები იყვნენ ჯიმ მორისონი, ჯიმი ჰენდრიქსი, მიკ ჯაგერი, კიტ რიჩარდი, კურტ კობეინი... გასული კვირიდან მათ რიგებს ლელა წურწუმიას ქმარიც შეემატა. ახლა, დავსხდეთ და ველოდოთ, როდის ჩაიწერება ლელა წურწუმია იმ სიაში, რომელშიც ჯენის ჯოპლინი, ტინა ტერნერი და სუზი კვატრო იწონებენ თავს.

სამაგიეროდ, ჩვენ გვყავს ჩვენი დედა ტერეზა — ეკა ბესელია.

ლიკა კიკიანს პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია შეხვდა. შეხვედრაში კიკიანის დედაც მონაწილეობდა. როგორც ბესელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, „შეხვედრის სურვილი ლიკას დედამ გამოთქვა. როგორც კი განცხადება მივიღე შეხვედრის თაობაზე, მაშინვე დავუკავშირდი. გვქონდა ძალიან ღია საუბარი... ვისაუბრეთ თავის წუხილზე, მოსაზრებებზე, ასევე ფაქტებზე. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, ბუნებრივია, კოორდინაცია გვექნება და ვიმუშავებთ ამ კუთხით. დავაკვირდებით გამოძიების მიმდინარეობას. თავის მხრივ კიკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბესელიამ მოუსმინა და დეპუტატის მხრიდან ძალიან დიდი დახმარებაა, რომ „მძიმე დროს მარტო არ დატოვა“.

არა მგონია, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ვინმეს გული არ აუჩუყდეს, თვალზე ცრემლი არ მოადგეს და არ გაიფიქროს: „ეკა დედაა ერისა“.

დედასთან დაკავშირებით, გასული კვირის ერთი წერილი, ოღონდ მანამდე 25-27 წლის წინანდელი წერილები უნდა გავიხსენო.

მოკლედ, 88 თუ 89 წელი იყო, „ლიტერატურულმა საქართველომ“ ხუტა ბერულავას კრიტიკით აღსავსე წერილი დაბეჭდა. ავტორი და შინაარსი არ მახსოვს და ამას არც აქვს მნიშვნელობა. ამავე გაზეთის შემდეგ ნომერში გამოქვეყნდა საპასუხო წერილი, რომლის ავტორების ფანტაზია ყველა საზღვარს გასცდა. არ არსებობს ქართულ ენაში სალანძღავი და საგინებელი ზმნა, არსებითი და ზედსართავი სახელები, რომელიც საპასუხო წერილის ავტორებმაც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის მიმართ არ გამოიყენეს. იყო დედის გინება, მამის, პატრონ-მყვარებლის, მკვდრისა და ცოცხლის, კარგების, კეთილების, გულით საყვარლების, გამზრდელის, დამსმელის და ა.შ. მაგრამ, ყველაზე საოცარი იყო ის, თუ ვინ და, რაც მთავარია, როგორ აწერდა ხელს — „პატივისცემით, ზუგდიდელები“.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი? გასულ კვირაში რაღაც ამდაგვარი წავიკითხე, ოღონდ ზუგდიდელების ნაცვლად, უსტარს ხელს აწერს შალვა ნათელაშვილის მეუღლე, ბელა ალანია.

ნაწყვეტები და ნაგლეჯები: „ლადო, შვილო! ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც თავისუფალი თაობა უნდა ზრუნავდეს საქართველოს აღმშენებლობაზე, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ სახელს ამოფარებულმა, ნებაყოფლობითი მონობა არჩიე. რომ იცოდე, როგორ მენანები!..“

უფრო უარესი — „რა ღირებული სახელწოდება შეგირჩევია, სხვისი დაკვეთების შესასრულებლად. ამ სახელით როცა გამოდიხარ, სულ ცოტა, სინდის-ნამუსთან თანხვედრაში მაინც უნდა მოდიოდეს შენი მყვირალა შავი აზრები“.

ა, კიდო — „ძალიან მეცოდები, რადგან შენ უკან მდგარი დამკვეთებიც თქვენთან ერთად, ფულის მონები, გარემოებათა ტყვეები ხართ. მონები კი ვერასოდეს, ვერაფერს ქმნიან ღირებულს და მნიშვნელოვანს“.

ესეც — „ლადო, ღმერთმა დაიფაროს ეს ქვეყანა თქვენისთანებისგან. ყველას თავისი გზა აქვს, ის გზა, რომელიც თქვენ იპოვეთ, ლადო, სრულ დისონანსშია სინდისთან, ნამუსთან, სიმართლესთან“.

და, ბოლო — „გუშინ ცხელ გულზე რამდენიმე წერილი დავწერე შენ მიერ ჩემი ოჯახის წინააღმდეგ წამოყენებულ ცილისმწამებლურ ბრალდებებზე. დღეს დილით გადავიკითხე და ეს გზასაცდენილი ახალგაზრდა კაცი მაინც ვერ გავიმეტე... ჩემს გულს რა ვუთხარი, ძალიან შემეცოდე და ვილოცე შენთვის. მკვლელსაც ხომ აქვს ბოლო სიტყვის უფლება, ეგებ დაფიქრდე, მოინანიო, შვილო, ლადო! უახლოეს დღეებში თუ არ იქნება უარყოფილი ჩემი ოჯახის მისამართით გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებები, არ მინდოდა, მაგრამ იძულებული ვიქნები, სასამართლოში გიჩივლო და მოვითხოვო ყველა სიტყვისთვის პასუხისგება“.

არა, ძმაო, ამან „დაუნ ზი დიქტეიტესაც“ კი გადაუჯოკრა! არადა, ქ-ნ ბელას მართლა ყველაფერში ვეთანხმები, რასაც სადღობელაშვილზე ღაღადებს, მაგრამ ეს „ლადო, შვილო“ რა პონტია, მაინც ვერ გავიგე. ალბათ, ქართლის დედა, ხმალი, ფიალა და რამე.

ისიც უნდა ვაღიარო, რომ შალვა ნათელასბიჭთან მიმართებაში სადღობელაშვილსაც ვეთანხმები. მოდი და ნუ დაეთანხმები! და არა მხოლოდ შალიკოსთან, ბელა ალანიას „ლადო, შვილო“ ზვიად სიჭინავასთანაც მართალია — „ბარიგა“ ზვიად სიჭინავამ ხალხის ფულები შეჭამა, — ამის შესახებ „თავისუფალი თაობის“ ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა განაცხადა. ლადო სადღობელაშვილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს და სამ ძირითად პუნქტს გამოყოფს“.

„ხალხის ფულები შეჭამა“ — ვაფრენ ასეთ ტექსტებზე. გაივლის დრო და ლადო სადღობელაშვილი თავისი რომელიმე ძმაკაცის შვილს აუცილებლად კითხავს: „ერთი კარგი ქორწილი როდის უნდა გვაჭამო?“ თუმცა, მანამდე, აუცილებლად და ხშირ-ხშირად იტყვის სიტყვებს, რომელთა გამოყენებაც „მრგვალი მაგიდის“ კომკავშირლებს ახასიათებდათ, ნაციონალური მოძრაობის კომკავშირლებს და ენჯეოშნიკებს ახასიათებთ და „ქართული ოცნების“ კომკავშირისთვისაც არ არის უცხო — „სუკის აგენტი“, „კრემლის აგენტი“, „მოღალატე“, „ერის მოღალატე“, „პუტინის მონა“...

მაგრამ „ხალხის ფულების ჭამა“ ყველასგან გამოირჩევა და თან ნუ დაგვავიწყდება, რომ „ტყემლით მაინც სულ სხვაა“.

რ.ხ. (როგორც ხდება) „გეტყვი, თუ გინდა, კოლია შილაკაძევ, როგორ და რით გათავდება ეს ამბავი, — მიმართა კლასიონ კვიმსაძემ თოკაძის მსხვერპლს, — ჩვენც და შენც ციმბირში ამოგვძვრება სული. რევოლუცია გაიმარჯვებს. მაგ თოკაძე მწერალი ყოფილა, — აგერ ახლა გავიგონე, — მოგონებებს დაწერს. კაი რაც ხდება აქ, იმას თავისთვის მიითვისებს, ცუდი თუ მოხდება რამე — ჩვენ დაგვაბრალებს და დიდი კაცი გახდება, ნამეტანი დიდი.

(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)

ვის აწყობს ვეტო ეროვნული ბანკის კანონზე

გიორგი იაშვილი

რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა მესამე მოსმენით ეროვნული ბანკის შესახებ კანონი მიიღო. პროექტით გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი განხილვის პროცესში შეიცვალა. მათ შორის ცვლილებები შეეხო სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტების წესს და მისი ხელმძღვანელის არჩევის საკითხს. ასევე, სააგენტოში შიდა აუდიტორული სამსახურის შექმნა გადაწყდა.

პარლამენტარების მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა როგორც პარლამენტში, ასევე საბანკო სექტორის კრიტიკის თემად იქცა, თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს არის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) გამოსავალი სიტუაციიდან, რომელშიც საქართველოს ეკონომიკაა. საუბარია ლარის გაუფასურებაზე, უფრო კონკრეტულად კი იმაზე, რომ ეროვნული ბანკი ვალუტის კურსზე გავლენას ახდენს და კონკრეტული პარტიის ინტერესებს ითვალისწინებს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე არაერთხელ პირდაპირ დაადანაშაულეს ეროვნული ვალუტის გაუფასურებაში. ლარის კურსის ცვლილება საეჭვოდ დაემთხვა საპარლამენტო ოპოზიციის, კონკრეტულად კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერთა განცხადებას ლარის მოსალოდნელ გაუფასურებასთან დაკავშირებით. დადანაშაულების განმტკიცება კი შეუძლებელია ამ სისტემით, რომელიც დღეს მუშაობს ეროვნულ ბანკთან მიმართებაში. ახალი კანონით კი შესაძლებელი ხდება მეტი მონიტორინგი და, პერიოდულად რომ ტივტივებს თემა ლარის დიდი მასის ბაზარზე გამოყრის შესახებ, რაც ლარის გაუფასურებას იწვევს, ამასაც ახსნა მოეძებნება.

მთავარი კი ახლა ის არის, რასაც ისევ ნაციონალური მოძრაობის წევრები აანონსებენ. მათი აზრით, მიღებულ კანონს პრეზიდენტი ვეტოს დაადებს. გიორგი მარგველაშვილს ვეტოს დადებისთვის ათი დღე აქვს. მარგველაშვილს და მის მრჩეველს აბაშიშვილს, ალბათ, უკვე შესწავლილი აქვთ კანონი, რადგან მას ეტაპობრივად აკრიტიკებდნენ. აქედან გამომდინარე, მისი შესწავლისთვის დამატებითი ვადა აღარ უნდა დასჭირდეთ, წესით. თუ მარგველაშვილი კანონს ვეტოს არ დაადებს მიღებისთანავე, ლარი გაუფასურების პროცესი კი არ შეჩერდება, პირიქით, სავარაუდოდ, უფრო ინტენსიური გახდება.

როგორც ამბობენ, პრეზიდენტი ათ დღეს სრულად გამოიყენებს და ამას იმისთვის გააკეთებს, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მოახერხოს და ლარზე ზემოქმედებით მისი კურსი დოლართან მიმართებაში 2.5-ზე ან მეტზე აწიოს, რაც აშკარა უკმაყოფილებას გამოიწვევს. ნაციონალები ამ ვარდნას მიღებულ კანონს, მოსალოდნელ საფრთხეებს და მთავრობას დააბრალებენ, რეალობა კი ის იქნება, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თავის რესურსებით მარტივად მოახერხებს ლარის გაუფასურებას.

თუ ეს ვარაუდი გამართლდა, გამოვა, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ნაციონალების თამაშს თამაშობს და არ აინტერესებს, ლარის უფრო გაუფასურება რა დღეში ჩააგდებს იმ ამომრჩეველს, რომელმაც მარგველაშვილს ხმა სწორედ მმართველი გუნდის ლიდერის ხათრით მისცა. ექსპერტები არ მალავენ, რომ ახალი კანონი შესაძლოა ხსნა იყოს როგორც საბანკო სექტორისთვის, ისე ზოგადად, არსებული ეკონომიკური მდგომარეობისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების უკმაყოფილება ლარის კურსთან დაკავშირებით, მინიმუმ მოიკლებს, რაც ოპოზიციის გეგმებში არ შედის. შედის თუ არა უკმაყოფილო მოსახლეობის რიცხვის ზრდა გიორგი მარგველაშვილის გეგმებში, მაქსიმუმ ათ დღეში გამოჩნდება. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ლარის კურსი რამდენიმე დღეა, მცირდება და მით უმეტეს, თუ ამ ათი დღის განმავლობაში ლარი თუ კიდევ გაუფასურდა, სამკუთხედი მარტივად შეიკვრება — ნაციონალური მოძრაობა, ეროვნული ბანკი და... პრეზიდენტი, რომელსაც თავისი პოლიტიკური მომავალი ძნელად წარმოუდგენია თავის ძველ გუნდთან ერთად და ახალ პოლიტიკურ დასაყრდენს სავარაუდოდ ეძებს. აღმოჩნდება თუ არა ეს ახალი დასაყრდენი „რებრენდირებული“ ნაციონალური მოძრაობა, უახლოეს მომავალში გამოჩნდება მარტივი გადაწყვეტილებით – რამდენად სწრაფად დაადებს ახალ კანონს ვეტოს გიორგი მარგველაშვილი.

თბილისში პირველადი ჯანდაცვის რეფორმაზე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

გიორგი იაშვილი

პირველადი ჯანდაცვის რეფორმაში საქართველოს „გლობალ ალიანსი“ დაეხმარება, ამის შესახებ განაცხადა საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალ ალიანსის“ (GAHSC) პრეზიდენტმა ჟან-ელი მალკინმა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ეროვნულ სამედიცინო-ტრენინგცენტრში (სიმულაციების ცენტრი) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე — „პირველადი ჯანდაცვა: სამომავლო პერსპექტივები საქართველოში“.

„გლობალ ალიანსთან“ საქართველოს მთავრობას აკავშირებს გრძელვადიანი შეთანხმება, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლების პროგრამის შემუშავებას ითვალისწინებს.

კონფერენცია „გლობალ ალიანსის“ მიერ იყო ორგანიზებული. სადაც „გლობალ ალიანსის“ ექსპერტების, პროფესორ პეტერ მაკარასა და დოქტორ ანდრეი მეჩინეანის მიერ წარმოდგენილი იყო კვლევები თემებზე: პირველადი ჯანდაცვა: ჯანდაცვის სერვისების მიწოდების სისტემის ქვაკუთხედი და პირველადი ჯანდაცვა საქართველოში: განახლება და რეინვესტირება. პრეზენტაციები ეხმაურებოდა ახლახან მინისტრ სერგეენკოს მიერ დაანონსებულ პირველადი ჯანდაცვის რეფორმის საკითხებს.

„მინდა, მივულოცო საქართველოს, ჯანდაცვის სამინისტროს, მინისტრს, მან ძალიან დიდი ძალისხმევა ჩადო ამ სისტემის განვითარებაში. პირველადი ჯანდაცვა ხდება პრიორიტეტი ჯანდაცვის სისტემაში და მთლიანად ქვეყანაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით საქართველოსთვის. ჩვენ „გლობალ ალიანისის“ სახელით ვმუშაობთ ამ საკითხებზე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, რათა გავაუმჯობესოთ მთელი ჯანდაცვის სისტემა და განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვა, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, იმისთვის რომ მოსახლეობამ შვება იგრძნოს“, – განაცხადა ჟან-ელ მალკინმა.

„მეტი რესურსი, მეტი უნარჩვევის გამომუშავება და უფრო მეტი ხარისხის მიღწევა დაგვჭირდება იმისთვის, რომ მოსახლეობამ საკუთარ თავზე იგრძნოს ამ სისტემის გაუმჯობესების შედეგები. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ პირველადი ჯანდაცვის რგოლს მიაკითხავს მოსახლეობა, პოტენციურ პაციენტებს მეორეული და მესამე რგოლის ჯანდაცვის სისტემებში გადასვლის ნაკლები აუცილებლობა ექნებათ. შესაბამისად, დაავადების ადრეულად გამოვლენის შემთხვევაში, პაციენტებს განკურნების უფრო მეტი შანსი ექნებათ და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხარისხიც იქნება გაცილებით მაღალი. აქედან გამომდინარე, პირველადი ჯანდაცვის ხარისხი უნდა იყოს ამ სისტემის ერთ-ერთი გამოკვეთილი შედეგი. ჯანდაცვის სამინისტრომ მთელ მოსახლეობას უნდა უთხრას, რომ პირველადი ჯანდაცვა არის მთელი სისტემის ქვაკუთხედი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო“, — ამბობს მალკინი.

დოქტორ პეტერ მაკარას განცხადებით, მთავრობამ პირველადი ჯანდაცვა აღიარა ქვეყნის პრიორიტეტად, სადაც მნიშვნელოვანია ქმედითი ზომების მიღება:

„საუბრიდან უნდა გადავიდეთ საქმეზე, რისი ვალდებულებაც აიღო მთავრობამ და ჯანდაცვის სამინისტრომ, რომელიც აპირებს ამ სფეროს მნიშვნელობის წამოწევას. პირველადი ჯანდაცვის მნიშვნელობის გამოკვეთაზე უკვე დავიწყეთ საუბარი და ამაზე მოხდება საზოგადოებასთან დიალოგი, რათა ყველამ დაინახოს, რამდენად მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვა. ესაა ჯანდაცვის სისტემის ქვაკუთხედი.



რესურსებს რაც შეეხება, უნდა არსებობდეს შესაბამისი მიმართვიანობის სისტემა, კარგი ხარისხი, სამედიცინო პერსონალს შესაბამისი ხელფასები უნდა ჰქონდეს. ადეკვატური ინფრასტრუქტურა უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ პაციენტი მივიდეს პირველადი ჯანდაცვის რგოლში და მიღოს შესაბამისი მომსახურება; ასევე მოქმედებდეს შესაბამისი დღის განრიგი იმისთვის, რომ ექიმებმა მიზანმიმართულად მოახდინონ ამ სისტემის მართვა. რათა სიტუაცია არ დამძიმდეს და მეორეულ და მესამეულ ეტაპზე არ მოხდეს დაავადებათა გამოვლენა. პირველადი ჯანდაცვა სწორედ იმისთვის არის აუცილებელი, რომ ადრეულ ეტაპზე მოხდეს ყველა ამ დაავადების გამოვლენა და დამძიმების თავიდან აცილება“.

როგორც კონფერენციაზე გაცხადდა, პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად ჩაერთვებიან ქვეყნის პირველადი ჯანდაცვის რგოლის წარმომადგენლები. კერძოდ, ოჯახისა და სოფლის ექიმები.

„იმას მოვყვები, რაც არასოდეს მომიყოლია!“

რატომ ეძახდნენ ნაციონალები ნანუკა ჟორჟოლიანს გიჟს

ივანო პავლიაშვილი

...ბევრჯერ დავაპირე, ისე შევხვედროდი, როგორც რესპოდენტს, თუმცა ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოვიყვანე... ამას წინათ, საქმიანი საბაბით, ორი-სამი დღე ვუყურებდი, როგორ მუშაობდა და გულახდილად ვიტყვი: მომინდა, მეც ამ გუნდის წევრი ვყოფილიყავი... ვერ მიხვდით, ვისზე ვლაპარაკობ? — „კარტებს გავხსნი“ და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეწამყვანის, ნანუკა ჟორჟოლიანის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ.

— ნანუკა, შეიძლება, ვინმემ ქათინაურად ჩათვალოს, მაგრამ რაც შენთან ვნახე, საოცრებაა და, სიმართლე გითხრა, ტელევიზიაში, კერძოდ, „ნანუკას შოუში“ მუშაობის სურვილი გამიჩნდა... აქამდე როგორ მოხვედი?

— არ ვფიქრობ, რომ სწორი მენეჯმენტი მაქვს. ამ თემაზე გუშინ მე და დათო ლაბაძეც ვლაპარაკობდით. საერთოდ, დათო ის ადამიანია, ვის აზრსაც ძალიან ვითვალისწინებ და დათომ მითხრა „ფემილი მენეჯმენტი“ გაქვსო ანუ აქ „სახლური“ გარემოა. ამას ვიღაც სწორად იგებს, ვიღაც ვერა. ისე, სამსახურში ძალიან მძიმე ვარ... „ალიონიდან“ ბევრს ვმუშაობ. „კურიერშიც“ ბევრი ვიშრომე, ჩემი სიუჟეტი პირველ ბლოკში რომ მოხვედრილიყო და აქედან გამომდინარე, დღეს უკვე იმ ტიპის მენეჯერი ვარ, რომელსაც არ ესმის, რას ნიშნავს, რამე არ გამოდისო. მაქსიმალისტი და რთული ვარ — მაქსიმუმს ვითხოვ, რასაც ყველა ვერ უძლებს, ადამიანებს ვღლი, თუმცა ჩემს გვერდით ისინი მუშაობენ, ვისაც პასუხისმგებლობა აქვს და იციან, რომ ამაში კარგად უხდიან. მაგალითად, თათა სახელაშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარია, მაგრამ იცის, რომ ეს სამსახურია. ნიკა გვარამიასთანაც ვმეგობრობ, მაგრამ ვიცი, რომ საქმე საქმეა და შეიძლება, მთელი დღე მისაღებშიც მომიწიოს ცდა.

— წარმატებას, ჩემი აზრით, „პახაობით“ კი არა, გულწრფელობით მიაღწიე — ეკრანზე არ თამაშობ...

— „იმედზე“ „ნანუკა შოუ“ რომ დავიწყეთ, ეთერში ბევრ შეცდომას ვტოვებდით. არადა, პირდაპირ ეთერში არ გავდივართ და შეგვეძლო, ამოგვეჭრა, მაგრამ ვთქვით, მოდი, სტერეოტიპები დავამსხვრიოთო. მოგატყუებ რომ გითხრა, მაშინ გულწრფელობაზე გავთვალეთ-მეთქი. უბრალოდ, გვინდოდა, რაღაც ახალი დაგვენერგა, თან ყველა ადამიანს ეშლება. შეიძლება, „არტილერია“ ნებისმიერმა თქვას...

— „არტილერია“ მძიმედ გახსოვს...

— მძიმედ კი არ მახსოვს, ეს საუკეთესო მაგალითია, რომ საზოგადოება წამყვანს შეცდომას არ პატიობს, მაგრამ „ნანუკას შოუ“ იმის კარგი მაგალითიცაა, თუ მაყურებელს არ „აბოლებ“ და ეუბნები, რომ ჩვეულებრივი ტიპი ხარ, შეცდომას გპატიობს.

— ნანუკა, კიდევ ერთი სტერეოტიპი დაამსხვრიე — გამოხვედი და შენივე გადაცემაში შენი სიყვარულის ამბავი მოყევი...

— სწორედ მანდ მივდივარ...

— იცოდი რომ მაყურებელი ამას კარგად მიიღებდა, თუ შეეცადე, ამ გულწრფელობით ერეკლე კოდუას ერთგვარი რეაბილიტაცია მოგეხდინა?

— ვანო, რეაბილიტაცია ეგეთ თემებში არ არსებობს, ეს ტყუილია! საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც არ უყვარხარ და პირად ცხოვრებაში ხელს იდაყვამდე გიყოფს, თავს მაინც ვერ მოაწონებ. მას კი, ვისაც უყვარხარ, მაინც ეყვარები. ეს რეაბილიტაციისთვის კი არა, გეტყვი, რისთვისაც გავაკეთე — ჩვენ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ. თუ კარგად გამოვიკითხავ, შეიძლება, საერთო ნათესავი ან ახლობელიც გამოგიჩხრიკო. ამ ქვეყანაში ერთმანეთის პირადი ცხოვრება ძალიან აინტერესებთ. როცა გინდა, პოპულარული იყო, არ გამოგივა, რომ შენს ცხოვრებაზე არ ილაპარაკონ. ზოგს პირად ცხოვრებაზე — გათხოვება-გამოთხოვებაზე ტაბუ რომ აქვს დადებული და ჰგონია, ამას საზოგადოება სამზარეულოში არ განიხილავს, ძალიან ცდება. საერთოდ, ტაბუირებული თემები არ მიყვარს, რადგან ტაბუთი საზოგადოებასთან საუბარს წყვეტ და საზოგადოებასთან თუ საუბარს განწყვეტ, ლეგიტიმურად იმას დაგაბრალებს, რაც უნდა...

— ტაბუირებული თემები არც მე მიყვარს, ამიტომ გკითხავ: როცა ერეკლესთან ურთიერთობა დაიწყე, იფიქრე, რომ ეს შენს კარიერაზე დადებითად ან უარყოფითად იმოქმედებდა?

— საერთოდ არ ვფიქრობდი, რომ ერეკლე კოდუას ცოლი გავხდებოდი!

— ერეკლეს რომ მოეთხოვა, ჟურნალისტობას შეეშვიო, სიყვარულს აირჩევდი თუ პროფესიას?

— ჩემი ცხოვრების ეს ეტაპი ორ ეპიზოდად იყოფა: ჩემმა ძალიან ჭკვიანმა მეგობარმა მითხრა, მისი სახელი და გვარი ჩაგყლაპავსო. გამიკვირდა, აქამდეც ჟურნალისტი ვიყავი და რას ჰქვია, ჩამყლაპავს-მეთქი. მისი სახელი უფრო ძლიერია, ვიდრე შენიო. დავუჯერე, მაგრამ ამისი არასოდეს შემშინებია. არც ერეკლეს შეშინებია, რომ ჩემნაირი ტიპის ცოლი ყოლოდა. საერთოდ, ჩემნაირი ქალის ქმრობა უფრო რთულია, ვიდრე ირაკლის ცოლობა.

— რატომ?

— გარდა იმისა, რომ ისეთი ცოლი გყავდეს, რომელიც მოვაჟკაცო გოგოა, ლიდერის თვისებებით, სახლში მარტივი არ ვარ, მაგრამ ირაკლის სახელი ოდიოზური გარეთაა და ყვირის, თორემ სახლში კომფორტულია და ყველაფერ ამაში ბედნიერების ჰორმონი ისეთი დიდია, გიღირს, ვიღაცებს რაღაცები აუხსნა. ისე, ირაკლისთვისაც მითქვამს, მეტის ღირსები ხართ, რადგან საზოგადოებასთან დაგვიანებული აუდიენცია ყოველთვის მითებს იწვევს-თქო.

— ბევრი ყოფილი ძალოვანისგან მსმენია, კოდუა კარგი ტიპიაო. თუკი ასეა, აბა, მასზე მითი რატომ შეიქმნა?

— ყველაზე მეტად, ალბათ, ოჯახიდან გამომდინარე... კოდუები კრებითი სახელი გახადეს. ამ დროს მათგან ყველა სხვადასხვა საქმით იყო დაკავებულო.

— ოჯახი რა შუაშია, როცა კოდუას იარაღისა თუ წამლის „ჩადებას“ აბრალებდნენ...

— „ჩადებას“ ყველა ოპერს დააბრალებენ... ამათ რა, არ აბრალებენ?! დღეს ინერტული პოლიცია გვყავს, მაშინდელი პოლიცია კი „ჟოსტკი“ იყო და პოლიციურ სახელმწიფოში მცხოვრები „ტიპები“ გეუბნებოდნენ, წესრიგს ჩვენ ვაყალიბებთო. თუ გვინდა, რომ სახელმწიფო სახელმწიფოდ შედგეს, ეს კარგია. იყო თუ არა გადამეტებები? — იყო, მაგრამ საქმის მკეთებელი ბევრ შეცდომას უშვებს. პარადოქსია: ესენი არაფერს აკეთებენ და შეცდომებს მაინც უშვებენ... მაშინ სოდ-ის, კუდ-ის სახით სახელმწიფომ ძლიერი სამსახურები შექმნა, უფრო გასაგებად რომ ვთქვა, — მონსტრი სისტემები. გაიხსენე, რა დრო იყო — როცა ქუჩა კარნახობდა პოლიციას თამაშის წესებს. შესაბამისად, მათთან ურთიერთობის ფორმებიც დაუნდობელი იყო. ზუსტად ვიცოდი, ცოლად ვისაც მივყვებოდი და ისიც ზუსტად ვიცი, ამაზე ჩემი ქმარი რატომაც წავიდა.

— ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო. ნანუკა, ერეკლესთვის, თუნდაც როგორც ჟურნალისტს, არასოდეს გიკითხავს, ამდენ რამეს რატომ აბრალებდნენ?

— როგორც ჟურნალისტი, ჩემს ქმარს კითხვას ვერ დავუსვამდი...

— ვიდრე ცოლად გაჰყვებოდი, მაშინ გეკითხა...

— ირაკლი 2005 წლის ბოლოს გავიცანი და რომ გითხრა, მაშინ რამე გაგებული მქონდა-მეთქი, მოგატყუებ. ყველაფერი 2007-ის მერე წამოვიდა და ამ დროს, პრაქტიკულად, უკვე ცოლი ვიყავი.

— სწორედ ამ პერიოდში ერთი ინციდენტი გახმაურდა, რომელშიც შენც ფიგურირებდი — შენს ტელეფონზე, ღამე, თითქოს უცნობმა დარეკა, რის გამოც დაიჭირეს. სინამდვილეში, რა მოხდა და ეს ამბავი შენს დისკრედიტაციას ემსახურებოდა?

— არა... ეს ძალიან ისეთი თემაა...

— თუ არ გინდა, არ ვილაპარაკოთ...

— არა, რას ამბობ?! სხვათა შორის, ეკა ხოფერიას მაშინდელ გადაცემაში, ამ სვანის ბიჭებმა სოზარ სუბარს პირდაპირ ეთერში დაურეკეს და უთხრეს, რომ იტყუებოდა. საპროცესო გარიგებას დაგვპირდნენ, მაგრამ ამის სანაცვლოდ შოუ მივიღეთო. თუმცა ეს სხვა თემაა... ვანო, ვაპირებდი, სოზარ სუბარისთვის მეჩივლა, მაგრამ მითხრეს, ყველა იტყვის, სასამართლო ამათია და კოდუას ცოლი მოიგებდა, აბა, რას იზამდაო... ერთ კონკრეტულ მაგალითს ვიტყვი და ამ თემაზე ლაპარაკს დავამთავრებ: სახალხო დამცველმა მოკვლევა ჩაატარა, გადამღები ჯგუფიც გაუშვა, მაგრამ მე, როგორც მოქალაქესა და საქმის მთავარ ფიგურანტს ერთხელაც არაფერი მკითხა. სწორედ ამიტომ სოზართან მივედი და ვკითხე, თუ პოლიტიკურად მოტივირებული არ ხარ, ხომ ჩემი დამცველიც ხარ და რატომ არაფერი მკითხე, იქნებ რაც გინდოდა, ის უნდა მეღიარებინა-თქო?!

— სუბარმა რა გიპასუხა?

— ვალდებული არ ვიყავიო. უარესიც მითხრა, დეტალებში რომ შევსულიყავი, რა დაზღვეული ვიყავი, შენგან კოდუა არ გაიგებდა და მოწმეებზე ზეწოლას არ განახორციელებდაო?! უკაცრავად, აქ ჩემი უფლება არ დაირღვა?! სახალხო დამცველის დასკვნაში წერია, რომ დილის 5 საათზე, ჩემთან შემთხვევით ბიჭმა დარეკა. ამ საქმეზე ადეიშვილმა საქმე აღძრა. იქ დევს ყველა მასალა... ამ ოჯახთან მანამდეც ვკონტაქტობდი — მათგან მოწოდებული ძალიან ბევრი თემა გაკეთებულა „კურიერში“. ეს ოჯახი მეხმარებოდა აფრასიძეების ოპერაციის დროს. სწორედ მაშინ დავტოვე სოფელში ჩემი ნომერი. ყველა პრობლემაზე მე მირეკავდნენ.

— ეს დეტალი სახალხო დამცველის ანგარიშშიცაა აღნიშნული?

— არა, იქ წერია, რომ ამ ბიჭმა დარეკა და მითხრა, უკაცრავად, სხვაგან მოვხვდიო, რაზეც ვუპასუხე, რას ჰქვია სხვაგან მოხვდი-მეთქი. ამის მერე თითქოს ერეკლე კოდუამ დაურეკა, ორ საათში თბილისიდან სვანეთში სპეცოპერაცია ჩატარდა, ეს ბიჭი დაიჭირეს და დუნდულში ნემსი გაუკეთეს. კარგი რა, ვანო, კარგი, რა?! ეს უფასო ფულის ზღაპრიდანაა, ოღონდ რომელი თავია, არ ვიცი.

ძალიან გულწრფელად გეტყვი: ამ ამბავზე აჟიოტაჟი მორალური ვალდებულების გამო არ ავტეხე — ირაკლი კოდუა ჯერ ჩემი ქმარი არ იყო, სხვა ოჯახი ჰყავდა და ლაპარაკი რომ დამეწყო, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებოდი. ირაკლის ცოლი ჰყავდა, რაც მზღუდავდა, სიმართლე მომეყოლა. სიმართლე კი ჩემი პირადი იყო... აი, რით ისარგებლეს ამ ნაბიჭვრებმა!

— ნანუკა, ეს სიტყვა დავწერო?

— კი, აუცილებლად დაწერე! ეს დამალული ურთიერთობა იყო და ვერც იმას ვამბობდი, კოდუას ვიცნობდი თუ არა. სხვათა შორის, ნინო ზურიაშვილს, რომელმაც ამ თემაზე ფილმი გააკეთა, ვკითხე, ჩემთვის კომენტარი უნდა გეთხოვა თუ არა-მეთქი. მიპასუხა, რომ მის ზარს არ ვუპასუხე. ჩემი ტელეფონის დეტალური ამონაწერი ამოვიღე და ზურიაშვილის ერთი ზარიც არაა შემოსული. ახლა ეს გოგო ეთიკის კოდექსში თუ რაღაცაში მუშაობს. ადგებოდა, მესიჯს მომწერდა და ამას შეინახავდა, მაგრამ არ გვიპასუხაო. ჩემი პოვნა თუ უნდოდათ, როგორმე მიპოვიდნენ! მაშინ ბევრი რამ ერთმანეთს დაემთხვა.

— შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს დაგეგმილი ინციდენტი იყო. ვინ დაგეგმა?

— არავინ. უბრალოდ, ბევრი სხვა მიზეზის გამო, კარგად გამოსაყენებელი თემა იყო, მაგრამ სოზარ სუბარს აღარ გამოუვიდა, რომ ეს ბიჭი ჩემთან თითქოს შემთხვევით მოხვდა — დეტალური ჩანაწერი აქაც ამოვიღე და აღმოჩნდა, რომ ეს ბიჭი, თავის ოჯახთან ერთად, მანამდეც ხშირად მირეკავდა. ვეღარც ის გამოუვიდათ, ეთქვათ, პირადიაო...

— ეს ბიჭი ხომ დაიჭირეს?

— კი, მაგრამ მალე საპროცესო გარიგებით გამოვიდა, ასეთი დაჭერილი სოდ-ს მილიონი ჰყავდა და მეორე საკითხია, მოტივაცია მე რატომ გავხდი.

— ესე იგი, კოდუას გუნდის შიგნიდან „გაუჩალიჩეს“?

„ბიძინა ძალიან „ნი ჩესტნად“ მოიქცა, თამაშის წესები დაარღვია — გარეწრებს შეეკრა!“

— უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, კარგად გამოიყენეს.

— მაინც, ვინ?

— (იღიმება)

— მაშასადამე, კოდუა მიუღებელი იყო...

— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ საიდუმლო არაა, რომ შიგნით დაპირისპირება არსებობდა: ხშირად ჯანსაღი კონკურენცია იყო, ხშირად არაჯანსაღიც.

— თუმცა, დღეს კოდუა დაპირისპირებას უარყოფს...

— კოდუას ჰკითხეს, მერაბიშვილი როგორი მინისტრი იყოო და უპასუხა, კარგიო. მეც ვფიქრობ, რომ ვანო მერაბიშვილი კარგი მინისტრი იყო — აბსოლუტურად სხვა რეალობა ჩაიბარა და მემკვიდრეებს სხვა დაუტოვა. ვანო და ირაკლი მეგობრები არ იყვნენ, თუმცა ეს თემა ვანოსგან არ მოდიოდა, მის ქვედა რგოლს უკავშირდებოდა, რომლის სახელსა და გვარს დღეს არავინ ახსენებს...

— „ნანუკას შოუსა“ და სოცქსელშიც ცალკეულ ნაციონალებზე სიმპათიას გამოხატავ, მაგალითად, გიგი უგულავაზე ისეთი გადაცემა გააკეთე, მართლმორწმუნე „ოცნებელებიც“ კი ტიროდნენ...

— ვანო, გინდა რეალობა გითხრა, რატომ ვარ აღქმული, როგორც ნაცმოძრაობის „ტიპი“? მართალია, ესენი, იდეოლოგიურად, ჩემი ტიპები არიან. აბა, „ქოცი“ ჩემი მტერი იყოს და ძალიან გთხოვ, ეს არ ამომიჭრა, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არ მომწონდა და თუ რამე არ მომწონს, „ფეისბუქზე“ არ დავწერ. თუ ხელი მიმიწვდება, ავდგები და ვეტყვი. მაშინაც ასე იყო — ერთადერთი ვიყავი, ვინც ზურა ადეიშვილს ყველაზე კრიტიკულ ჭორსაც კი ვეუბნებოდი. სხვათა შორის, ზურა ის ტიპია, ვისაც მოსმენა შეუძლია და არ უთქვამს, რატომ მეუბნებიო. ამის გამო ჩემზე იმასაც ამბობდნენ, ჟორჟოლიანი გიჟიაო.

— გიჟს ნაციონალები გეძახდნენ?

— კი...

— შენს მეგობრებთან, მაგალითად, 7 ნოემბერი გააპროტესტე?

— თუ „იმედში“ შესვლაზე მეკითხები, კატასტროფული რეაქცია მქონდა — მაშინ „რუსთავი 2“-ის პროდიუსინგში ვმუშაობდი და „რუსთავი 2“-მა ყველაფერი პირდაპირ ეთერში გაუშვა. ღია ტელეფონით „იმედის“ ჟურნალისტებს ვურეკავდი და ვეკითხებოდი, რა შემეძლო მათთვის გამეკეთებინა, მაგრამ გარდაცვლილებზე არ ლაპარაკობენ და არ მინდა, კონკრეტულ თემას შევეხო.

— რას გულისხმობ?

— პატარკაციშვილის თემას...

ძალიან არ მომწონს, როცა ჩემს ქვეყანაში ადამიანებს არბევენ, მაგრამ ამის გამო ის ხელისუფლება გადადგა...

— ნაციონალებზე ვლაპარაკობდით...

— მოგატყუებ რომ გითხრა, მთელ რიგ საკითხებზე მათი ხედვები დიდად მომწონს-მეთქი, მაგრამ ეს ჯანსაღი პროცესია. ყველა ერთმანეთს რომ ეთანხმებოდეს, კომუნიზმი იქნება და დავღუპულვართ!

ირაკლი კოდუა პარტიული ტიპი არასოდეს ყოფილა, პოლიციელი იყო, რომელიც ნაციონალებს დახვდა. უბრალოდ, ე.წ. პატარკაციშვილის ოპერაციის მერე, ხალხმა ისე აღიქვა, როგორც პოლიტიკის ნაწილი, თორემ ვანო, ირაკლის რომ კითხო, გეტყვის, ეს ოპერაცია მისთვის პოლიტიკური ქეისი არ ყოფილა. ეს მისთვის ჩვეულებრივი ოპერაცია იყო, რაც უნდა დაუჯერებელად ჟღერდეს.

— რამდენიმე თვის წინ, ვალერი გელბახიანმა ჩემთან, არა-ჩვეულებრივ ინტერვიუში იეჭვა, რომ კოდუა პატარკაციშვილისთვის დიდი ხანი მუშაობდა და ამაში ჰონორარსაც იღებდა...

— ღადავია! გელბახიანმა ისიც თქვა, რომ ამ ოპერაციის დროს, ლონდონში მეც ვიყავი. ჩამოყალიბდეს, ზღაპრის რომელ ეპიზოდს ყვება. კოდუა პატარკაციშვილს საერთოდ არ იცნობდა და ერთ-ერთი რეკომენდაციის გამწევი საზოგადოებისთვის ცნობილი ტიპი იყო, რომელმაც ურჩია, კოდუას დაპირისპირება რეალურად აქვსო. ირაკლიმ პატაკი მართლა დაწერა და წამოსვლას აპირებდა... მოკლედ, ირაკლი ამ თემას შერლოკივით მიუდგა.

— იცოდი, რომ ეს ოპერაცია იგეგმებოდა?

— არა, მაშინ ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით — კრიზისი გვქონდა. საერთოდ, ირაკლი ზედმეტად ოპერატიული თანამშრომელია, თან ასეთი თემებით ერთმანეთთან ურთიერთობას არ ვაბინძურებთ...

— ისე, ნანუკა, ძალიან ძლიერი ხარ...

— მაინც არ მამთავრებინებ, ნაცმოძრაობასთან ასოცირებული როგორ აღმოვჩნდი...

— მეგონა, დაამთავრე. გისმენ...

— კოდუა პოლიტიკური ფიგურა პატარკაციშვილის საქმის მერე გახდა, თორემ ძალიან ბევრი პოლიტიკური ლიდერი მე გავაცანი. მაგალითად, მიშას არ იცნობდა. „კეზერაც“ და გიგიც მე გავაცანი. ბევრი მეგობარი არ მყავს, უბრალოდ, ყველას პრობლემა აქვს და ეს ყვირის. ჩემი მეგობრები „კეზერა“, გიგი, ზურა ადეიშვილი და პეტრე ცისკარიშვილი არიან, რომელიც ჩემი შვილის ნათლიაცაა. ასე აღმოვჩნდი ნაცმოძრაობის „კომპოტში“, ოღონდ არა — პარტიულად. ამას ჩემი ძებნილი ქმარიც დაემატა და ასეთი იმიჯი მათი დაცვით უფრო ჩამომიყალიბდა, თორემ პარტიაში ნამყოფიც არ ვარ.

— მიშაც შენი მეგობარია?

— არა, ტყუილს ვერ ვიტყვი, მაგრამ მიშა ჩემთვის მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსია და თავისი ყველაფრით მაგრად მევასება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაბრმავებული ვარ და უფასო ფულის მჯერა.

— უფასო ფული მიშას იდეა არაა, შეგეშალა!

— სხვაზე „წავიკბინე“...

ზურა ადეიშვილი ჩემი ახლო მეგობარია, გარდა ამისა, ტვინიცაა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ვერ ვხვდებოდე, ვის რა ნაკლი, შეცდომა და პლუსი აქვს.

— ნანუკა, თავის დროზე გარკვეული შეხება ბიძინა ივანიშვილთანაც გქონდა — ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებას ბერა, როგორც მომღერალი, სწორედ შენ გააცანი...

— (იცინის) არ დამიფასა... ვანო, ძალიან შემიტყუე და, სხვათა შორის, იმას მოგიყვები, რაც არასოდეს მომიყოლია.

— შეტყუება ხომ ჟურნალისტური ხელოვნებაა!

— „ბაზარი“ არაა, მაგრამ შინაურობაც დაგეხმარა... სალომე გოგიაშვილს, რომელიც მათთან მუშაობდა, ვთხოვეთ, რომ ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუზე დაგვხმარებოდა. „გაგვიკეთა“ მთავარი საქმე და მერე ოფისის ტიპი დამეკონტაქტა და მითხრა, ირაკლი მქვიაო. რაც შეეხება ბერას, დეტალებზე მე უნდა მეკონტაქტოთო. ტელეფონის წიგნშიც ასე ჩავწერე — „ბერას ირაკლი“. ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა და ბგერებს ყლაპავდა, მაგრამ ეს სფერო კარგად ესმოდა, აზრზე მოსული იყო და კარგად გვეთანამშრომლა. ვკითხე, არჩევანი ჩვენზე რატომ გააკეთეთ-მეთქი და მითხრა, კვლევა ჩავატარეთ, საზოგადოება შენი გადაცემის მიმართ ძალიან ლოიალურია და ნდობაა მაღალი, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბერას გამოჩენა სწორად მოხდესო. ეს ბიჭი ცოტა უცნაურად რომ ლაპარაკობდა, ვიფიქრე, აშშ-ში რომაა გაზრდილი, ქართულად ლაპარაკი, ალბათ, უჭირს-მეთქი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გადაცემა გავიდა, მეორე დღეს ბერამ დამირეკა და მითხრა, ამდენი ხანია „ფეისბუქის“ გვერდი მაქვს, მაგრამ ერთ ღამეში 30 ათასი ლაიქი დაემატა, ყოველთვის მადლობელი ვიქნები და მამამაც მადლობა შემოგითვალაო. ამის მერეც ვთანამშრომლობდით, ირაკლი ბერას ანაკლიაშიც ჩამოყვა. მახსოვს, ჩემი პროდიუსერი ეუბნებოდა, გაიწიე, კადრს მიფუჭებო, არადა, რა იცოდა, ვინ იყო... ამის შემდეგ დაიდო ფარული ჩანაწერი თინა ხიდაშელზე. ჩემებს ვუთხარი, ეს ხმა ძალიან მეცნობა-მეთქი და ვიღაცამ თქვა, ბიჭო, ეს, მგონი, ბერას ირაკლიაო. 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ, ტელეფონში „ბერას ირაკლი“ ირაკლი ღარიბაშვილად გადავაკეთე. სხვათა შორის, რაც პრემიერი გახდა, რამდენჯერმე მივწერე, რომ გადაცემაში სტუმრად მოსულიყო და გულწრფელად ვიტყვი, პრემიერის კვალობაზე პასუხი დაუგვიანებლად და ზრდილობიანად გამცა ანუ ეს თავში ავარდნილი „არა“ არ იყო... მაგრამ ეს ძალიან ადრე იყო (იცინის).

— ნანუკა, ამბობენ, რომ კახა კალაძესთან კარგი ურთიერთობა გაქვს...

— კალაძესთან არც კარგი ურთიერთობა მაქვს და არც — ცუდი...

— ყოველ შემთხვევაში, კალაძეს არასოდეს „ურტყამ“. რატომ?

— გეტყვი: „გადამგდები“ ხალხი არ „მევასება“! კახი კალაძესთან პოლიტიკური შეხება არ მქონია. ბიძინა კი ძალიან „ნი ჩესტნად“ მოიქცა, თამაშის წესები დაარღვია — გარეწრებს შეეკრა!

— სახელდობრ?

— არიან გარეწრები ნაცმოძრაობიდან... ნაცმოძრაობის გარეწრები იმისთვის გამოიყენო, რომ პოლიტიკურად მსხვილ ტიპებს ებრძოლო, პოლიტიკური ანა-ბანა არ უნდა იცოდე! ირაკლი ღარიბაშვილის მიმართაც ჩემი დამოკიდებულება ასეთია — ამ ტიპებს ვერ ენდობი! ჩემი პოლიტიკური კონიუნქტურა რაღაცების მოყოლის უფლებას არ მაძლევს, რადგან ეს ჩემი ისტორია არაა, მაგრამ ესენი არიან ტიპები, რომლებიც თვალებში ჩაგხედავენ და ორ წამში გაგაცურებენ! როდესაც ჩემს ქმარს სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო ეძებ და ამ დროს გვერდით ჯანყარაშვილი გყავს, „ოლიმპოს მთიდან“ მორალს ნუღარ მიკითხავ! ის, რაც ნაციონალებმა 9 წელში ვერ გააკეთეს, ჯანყარაშვილმა ერთ წელში მოასწრო! თუმცა გადაცემაში ირაკლი ღარიბაშვილი რომ მოვიდეს, ეს განწყობა არ დამეტყობა, მაგრამ „ფეისბუქი“ ჩემი პირადი გვერდია და ამიტომაც იქ პოსტებით გამოვხატავ ამ დამოკიდებულებას.

— ...„ფრეშნიუსი“ პოლიტიკური ამინდის შესაქმნელად გააკეთე?

— „ფრეშნიუსი“ იმიტომ გავაკეთე, იმას, „ოლიმპოს მთაზე“ რომ ზის და თავი უცოდველი ჰგონია, დავანახო, ყველაფერი ასე არაა!

— წელან დავიწყე და ველარ დავამთავრე: პოლიტიკამ შენი ოჯახი, პრაქტიკულად, დაშალა...

— თან, ძალიან...

— ბოლო სამ წელში გიტირია?

— არა! ჯერ საბრძოლველი მაქვს და საკუთარ თავთან რა კრიზისიც უნდა შემექმნას, ამ ბრძოლას ირაკლისთან ერთად გავივლი! როცა ირაკლიზე საქმის აღძვრა გადაწყვიტა, ბიძინამ ცეცხლი გამიხსნა! არადა, ამის საჭიროება არ იყო, თან ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთი სპეცოპერაციის დროს, ირაკლის ძალიან გულშემატკივრობდა.

— ანუ ერთმანეთს იცნობენ?

— ირაკლის შორიდან იცნობდა და ერთ-ერთ სპეცოპერაციაზე თქვა კიდეც, ირაკლიმ მაგრად ჩაატარაო.

— ცეცხლი ივანიშვილმა კი არა, ეგებ ქვედა რგოლმა გაგიხსნა?

— ამ ქვეყანაში „ქვედა რგოლი“ არ არსებობს და მითია, მეფე ვერაფერს იგებსო. ყველა დროს, ყველამ ყველაფერი იცის და ქვედა რგოლში არაფერი წყდება.

— მაშასადამე, მიშამაც ყველაფერი, რაც ხდებოდა, იცოდა...

— რა თქმა უნდა, მიშამაც ბევრი რამ იცოდა, მაგრამ მიშა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არსად გაქცევია. სხვათა შორის, ყველაფერი ის, რაც ბიძინამ წელანნახსენებ სპეცოპერაციაზე იწინასწარმეტყველა, ახდა.

— პატარკაციშვილის სპეცოპერაციას გულისხმობ?

— კი. მაშინ ბიძინამ თქვა, ბადრი კოდუას ჩამწერს არ დაახშობს და თვითონაც ჩაწერსო... მხოლოდ ბიძინას პროგნოზი გამართლდა.

— ნანუკა, ლაურა ღაჭავაზე, როცა მასზე შეტევა იწყება, როგორც წესი, კომენტარს არ აკეთებ ხოლმე...

— რაღაცებისგან დისტანცირება ხანდახან საჭიროა... შეიძლება, საქმის დეტალებიც არ ვიცი... მე ირაკლი კოდუას ცოლი ვარ, ირაკლი მიყვარს და ვცდილობ, ურთიერთობებში სწორად გავიარო, თან ვთვლი, ლაურა ძლიერია და ყოფნის რესურსი, ყველაფერს თავად უპასუხოს...

— დედამთილზე გულნატკენი ხომ არ ხარ?

— არა, ეს მოგონილია, თუმცა კლასიკური რძალ-დედამთილური ურთიერთობა არ გვაქვს... ცალკე ვცხოვრობ. ცხოვრებაში ბევრ რამეს ფინანსური რესურსი განსაზღვრავს.. მე კი ამ მხრივ ძალიან დამოუკიდებელი ვარ. დისტანციური და კარგი ურთიერთობა გვაქვს: დაბადების დღეზე მოვა, საჩუქარს მომიტანს, მეც მივალ, მოვიკითხავ, ბავშვს გავუშვებ. კლასიკური გაგებით დედა ვერ ვარ და რძალი როგორ უნდა ვიყო, თუმცა როცა ირაკლის ძმა სასიკვდილოდ სცემეს, ყველაფერი გავაკეთე, დათო დამეცვა იმიტომ, რომ ირაკლი კოდუა აქ არ იყო! მაშინ ირაკლის ღირსებას ვიცავდი!

— ორი სიტყვა შენს ქალიშვილზე, მარიამზეც მითხარი...

— ძალიან მაგარი გოგოა — დედაჩემმა კარგად გაზარდა.. მომწონს მისი ამბიცია, რომ არ უნდა თქვან, ნანუკას შვილიაო...

— ამბიცია ცუდი არაა... ბოლოს, ნანუკა, ერთი კითხვა შენც დამისვი...

— (ფიქრობს) როგორ გგონია, 2012 წლამდე უკეთესად ვიყავით თუ ახლა უფრო კარგად ვართ?

— უნდა გიპასუხო?

— (იცინის) აბა?! შეცდომების მიუხედავად, ქვეყანა როდის უფრო პროგრესირებდა — მაშინ თუ ახლა?

— ალბათ, უფრო ადრე...

— ჰოდა, მინდა პროგრესირებული ქვეყანა, შეცდომების გარეშე!

საპარტნიორო ფონდი ქუთაისში სასტუმროს მშენებლობას იწყებს

საპარტნიორო ფონდმა „კაპიტოლ ჰოლდინგთან“ ერთად, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და ტურიზმის სექტორში ახალი სასტუმროს პროექტის განხორციელება ოფიციალურად დაიწყო. სასტუმროს მშენებლობას სიმბოლურად საფუძველი ჩაუყარეს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, ირაკლი კოვზანაძემ.

ხელშეკრულებით, ახალი, სამვარსკვლავიანი, საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო ქუთაისში აშენდება, რომელიც პირველი ბრენდირებული სასტუმრო იქნება იმერეთის რეგიონში. სასტუმროს, რომელიც ქალაქის ისტორიულ ცენტრში განთავსდება, 40 სტანდარტული და 5 ლუქსის ტიპის ნომერი ექნება. სასტუმროს ინფრასტრუქტურა მოიცავს 3 საკონფერენციო დარბაზს, ღია და დახურული ტიპის კაფე-რესტორანს.

საპარტნიორო ფონდის პარტნიორი ამ პროექტში „კაპიტოლ ჰოლდინგია“. პროექტის ღირებულება 3 მილიონი აშშ დოლარია, სადაც ფონდი 1.4 მლნ აშშ დოლარით მონაწილეობს. სასტუმროს დეველოპმენტს განახორციელებს კომპანია „სიმეტრია“, რომელიც ესტ ჭესტერნ ინტერნატიონალ-ის ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. სასტუმროს მშენებლობა 2017 წელს დასრულდება.

სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდი, საქართველოს მთავრობის მიერ, 2011 წელს დაარსდა. სახელმწიფო ფონდის 100%-ს ფლობს. საპარტნიორო ფონდის აქტივები 5 მილიარდ ლარს აჭარბებს. ფონდის საკუთრებაშია „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და ნაწილობრივ, „თელასის“ აქციებს. საინვესტიციო მიმართულებებთან ერთად, ფონდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სახელმწიფო სტრატეგიული აქციების სწორი კორპორატიული მართვაა.

დეველოპერული კომპანია „სიმეტრია“ 2007 წელს დაარსდა. კომპანიის ძირითად საქმიანობას უძრავი ქონების დეველოპერული პროექტების განხორციელება-განვითარება წარმოადგენს. კომპანიის ერთ-ერთი მიმართულება ესტ ჭესტერნ-ის ქსელის განვითარებაა. ესტ ჭესტერნ ინტერნატიონალ-ი, სასტუმროების უმსხვილესი საერთაშორისო ქსელია, რომელიც მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 4 000-ზე მეტ სასტუმროს აერთიანებს.

რადიო „კომერსანტი“

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი მიიღეს

პარლამენტმა მესამე მოსმენით, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი მიიღო. რიგგარეშე სესიაზე, საკანონმდებლო პაკეტს 84-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, მაღალმთიანი რეგიონებისთვის სოციალური და საგადასახადო შეღავათების დაწესებასა და მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებს.

პროექტის თანახმად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის რეგულირების საკითხი, ასევე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მოპოვებისა და გაუქმების საფუძველი განისაზღვრება. მთავრობა მაღალმთიანი დასახლების ნუსხას დაამტკიცებს, შეიქმნება მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი.

კანონმდებლობის თანახმად, მთის ეროვნული საბჭო შეიქმნება, რომელიც მთავრობას მაღალმთიანი დასახლების განვითარების სტრატეგიას, სამოქმედო გეგმასა და შესაბამის პროგრამებს წარუდგენს. კანონპროექტი სრულად მომავალი წლიდან ამოქმედდება.

რადიო „კომერსანტი“

„მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვას თბილისის მერიას არავინ ჰკითხავს!“

შალვა ოგბაიძე: „სახელმწიფომ მოქალაქეს საშუალება მისცეს, რომ 10 000 დოლარი გამოიუმუშაოს და მარჯვენასაჭიანს ალარ შეხედავს!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვის მიზნით, შესაძლოა, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი აიკრძალოს. ყოველ შემთხვევაში, თბილისის მერი, დავით ნარმანია ამგვარ შესაძლებლობას არ გამორიცხავს, თუმცა დასძენს, რომ ეს საკითხი საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია. ნარმანიას ინიციატივას აზრთა სხვადასხვაობა და მარჯვენასაჭიანი ავტომფლობელების აღშფოთება მოჰყვა. აკრძალვის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც მყარი არგუმენტები აქვთ. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, მართლა ქმნიან თუ არა მარჯვენასაჭიანი ავტომობილები თბილისში საცობს და კონკრეტულად, რა უდევს საფუძვლად მოსალოდნელ აკრძალვას?

თავდაპირველად, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ოფიციალური სტატისტიკით დავინტერესდით, თუმცა „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ასეთი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან საბაჟოზე, ავტომობილების განბაჟების დროს, დიფერენცირება — მარჯვენა ან მარცხენასაჭიანი რამდენი ავტომობილი შემოვიდა, არ ხდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წელს, საქართველოში სულ 87 987 მსუბუქი ავტომანქანის იმპორტი განხორციელდა, რაც 2012 წლის საერთო მაჩვენებელს 31%-ით აღემატება: 2012 წელს, მთლიანობაში, 67 099 მსუბუქი ავტომანქანა, 2013 წელს კი, 81 250 ავტომობილი შემოვიდა. საიმპორტო ქვეყნებში პირველ ადგილზე იაპონიაა, საიდანაც 2014 წელს, 183%-ით მეტი ავტომობილი შემოიყვანეს, ვიდრე 2012 წელს, როდესაც მხოლოდ 14 184 ავტომობილის იმპორტი განხორციელდა. მეორე და მესამე ადგილზეა აშშ-დან და გერმანიიდან იმპორტირებული მანქანები. „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წელს, აშშ-დან 19 945, გერმანიიდან კი 16 968 ავტომობილის იმპორტი განხორციელდა. სხვა ქვეყნებიდან მანქანების წლიური იმპორტი 2 000 ერთეულზე მეტი არაა.

სპეციალისტების გათვლით, ქვეყანაში იმპორტირებული ავტომობილების 40% მარჯვენასაჭიანია, თუმცა იმის გამო, რომ ოფიციალური სტატისტიკით, ავტომობილების საიმპორტო ქვეყნებს შორის იაპონია ლიდერობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ყოველ მეორე მოქალაქეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ჰყავს, რადგან ეს მანქანები სწორედ იაპონიიდან შემოჰყავთ. შესაბამისად, თბილისის მერიის ინიციატივას, აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი, ავტომფლობელების ნახევარი დაუპირისპირდა. მეტიც, სოციალურ ქსელში ღიად დაიწერა, რომ ამ აკრძალვით ხელისუფლება „მარჯვენასაჭიანთა რევოლუციას“ მიიღებს. გარდა ამისა, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მომრავლება ხაზს მოსახლეობის მძიმე სოციალურ მდგომარეობას უსვამს — სპეციალისტების განცხადებით, იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილი გაცილებით იაფი, უსაფრთხო და რაც მთავარია, შედარებით ახალია. მარჯვენასაჭიანი ავტომობილის შეძენა, საშუალოდ, 3 000 აშშ დოლარი ჯდება. ამ ფასად იგივე ტექნიკური მონაცემების მარცხენასაჭიან ავტომობილს, ცხადია, ვერ შეიძენთ. ის, 5-6 ათასი აშშ დოლარი ღირს. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ესაა, რის გამოც მომხმარებელი სწორედ მარჯვენასაჭიანს ირჩევს.

აკრძალვის მომხრეების არგუმენტით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, ქვეყნის მასშტაბით, სერიოზულ პრობლემას ქმნიან, რადგან საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურა მხოლოდ მარცხენასაჭიან მანქანებზეა მორგებული. ისინი, ვინც მარჯვენასაჭიანი ავტომობილის აკრძალვას უჭერენ მხარს, ამბობენ, რომ იაპონიიდან იმპორტირებული მანქანების განათების სისტემა შემხვედრ მძღოლს „აბრმავებს“, რამაც შესაძლოა, ავარიის პროვოცირებაც გამოიწვიოს. მარჯვენასაჭიანი ავტომობილის განათების სისტემა მარცხნივაა კონცენტრირებული, მარცხენასაჭიანის კი პირიქით — მარჯვნივ. გარდა ამისა, მარჯვენასაჭიან ავტომობილში მგზავრი გზის სავალ ნაწილზე ჯდება, ან გადმოდის, რაც დაუშვებელია.

აკრძალვის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების არგუმენტები, როგორც იტყვიან, 50/50-ზეა. თუმცა გაურკვეველია, რა ბედი ელის მარჯვენასაჭიან ავტომობილებს, თუკი ხელისუფლება აკრძლვის გადაწყვეტილებას მიიღებს — ჯართად ჩააბარებენ, თუ მფლობელებს აიძულებენ, გაყიდონ? ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ღიად აცხადებენ, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა ხელისუფლების პირად ინტერესებს უკავშირდება. მართალია, მარჯვენსაჭიანი ავტომობილების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ იმპორტიორ ქვეყნებს შორის იაპონია ლიდერობს, საიდანაც ამ ტიპის ავტომობილები შემოდის. ჩანს, ამ გადაწყვეტილებით, თბილისის მერია, იმპორტიორ ქვეყნებს შორის, გერმანიის ლიდერობას „ლობირებს“.

ქმნის თუ არა თბილისში საცობს მარჯვენასაჭიანი ავტომობილები და გამართლებულია ამ მანქანების აკრძალვა? — „ვერსიამ“ ამ კითხვებით დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერსა და საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ოგბაიძეს მიმართა:

— მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტის აკრძალვას თბილისის მერიას არავინ ჰკითხავს. ხშირად ვამბობთ, რომ გარემოს გამონაბოლქვის 80% ავტომობილებზე მოდის, მაგრამ რას აკეთებს სახელმწიფო ამის საპირისპიროდ — ტექდათვალიერება შემოიღო, კატალიზატორების ხმარებაა სავალდებულო თუ საწვავის კონტროლი ხორციელდება, რომელიც მთლიანად დერეგულირებულია?! არაფერი კეთდება. წავლენ, წამოვლენ და ამ „საწყალ“, მარჯვენაჭიან მანქანებს მიადგებიან. ქათმის არ იყოს, ძროხა დაკლეს — მე წამაკლეს, ცხვარი დაკლეს — მე წამაკლესო. გაიხედ-გამოიხედეს და „დაასკვნეს“, რომ თურმე, პრობლემის არსი მხოლოდ მარჯვენასაჭიანი მანქანებია. დიდი ბოდიში, მაგრამ თავსახურახდილი ჭა, ამომტვრეული ასფალტი და თბილისური, „მამალი“ ორმო საფრთხესა და საცობს არ ქმნის? ავიღოთ, თუნდაც სასტუმრო „აჭარის“ წინ გაყიდული მოედანი, რომელმაც იმ მონაკვეთში სატრანსპორტო სისტემა საერთოდ შეცვალა. ის საცალფეხო კაპილარებიც გავიხსენოთ, რომლებიც გმირთა მოედანს, სადაც ერთი მანქანის გაჩერება უკვე „თრომბს“ იწვევს, ყოვლად დაუსაბუთებლად უერთდებიან! 17 წლის მოზარდსა და, საერთოდ, ყველას, მართვის მოწმობას რომ ვაძლევთ, რატომ არ ვფიქრობთ, რომ მათ მხოლოდ ავტომობილის დაძვრა და გაჩერება იციან? — მართვის მოწმობას იღებენ, მაგრამ რეგიონებიდან თბილისში დამოუკიდებლად ვეღარ ჩამოდიან. აღარაფერს ვამბობ პარკირებაზე — ტროტუართან, უკუსვლით მანქანის გაჩერება არ იციან. ეს არ ქმნის საცობებს? ყვითელი მიკროავტობუსები და ავტობუსები, ერთმანეთის კონკურენტები რომ არიან, ეს თბილისის მერიამ არ იცის? ერთ გაჩერებაზე, პირობითად, 17 მიკროავტობუსი და 11 ავტობუსი რომ დგას და მერე ერთმანეთს „ეგონკავებიან“, ამით პრობლემა არ იქმნება? ეს პრობლემა გაცილებით გლობალურია, ამიტომ თბილისის მერიამ თავის საქმეს მიხედოს და ცენტრალურმა ხელისუფლებამ — თავისას.

— ბატონო შალვა, მართალია, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ამბობენ, რომ ამ ტიპის მანქანები მძიმე სოციალური პირობების გამო მომრავლდა...

— დიახ, ასეა — მარჯვენასაჭიანი ავტომობილების სიმრავლე კარგად ცხოვრების შედეგი არაა.

დასასრული მე-7 გვერდზე

თბილისელთა ნაწილი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას უფლებების დარღვევად მიიჩნევს

„ამ იძულებითი ინოვაციით ქართულმა საკაბელო ტელევიზიებმა დიდძალი ფული იშოვეს...“



ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

1 ივნისიდან საქართველომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ტელევიზორის ყურება მხოლოდ ე.წ. Set top box-ის მეშვეობითღაა შესაძლებელი, რომლის ღირებულებაც 55-დან იწყება და 150 ლარს აღწევს. როგორ მიიღეს თბილისელებმა ეს სიახლე, რა გავლენა მოახდინა Set top box-ის შეძენამ და თუ არ შეუძენიათ, როგორ უყურებენ ტელევიზორს? — ამ თემაზე „ვერსიამ“ მინიგამოკითხვა ჩაატარა.

გურამი, 71 წლის: — ტელევიზორს არ ვუყურებ. ადრე საინფორმაციოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომედგინა, ახლა კი ეს ჩემთვის ზედმეტი სტრესია და ვამჯობინებ, თავი შევიკავო. ისე, მგონია, რომ ამ იძულებითი ინოვაციით, ქართულმა საკაბელო ტელევიზიებმა დიდძალი ფული იშოვეს. წარმოიდგინეთ, ადამიანი საკაბელო ტელევიზიაში 10-დან 30 ლარამდე იხდის. მაგალითად, მე 10 ლარს ვიხდი და 200-მდე არხი მაქვს. იმ ოხრობა ყუთს რატომღა ავირჩევ?

ნელი, 29 წლის: — ვიცი, რომ ივლისიდან ჩვენი ტელევიზორები აღარ იღებს სიგნალს. ამის შესახებ, პრინციპში, ინფორმირებული არ ვიყავი, რადგან ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ. მოვედი სახლში, ჩავრთე ტელევიზორი და შავი გამოსახულება მიჩვენა. მერე გავიგე, რაც ხდებოდა. ვფიქრობ, ასეთი რამის გაკეთება უფლებების უხეში დარღვევაა. საბერძნეთის მთავრობამ, ახლახან, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, რეფერენდუმი ჩაატარა და ხალხის აზრი იკითხა. იგივე უნდა გაეკეთებინა ჩვენს მთავრობასაც — აზრი მოსახლეობისთვის უნდა ეკითხა, ეს ციფრული მაუწყებლობა გვჭირდებოდა თუ არა. ჩემთვის რომ ეკითხათ, ვეტყოდი, არამეთქი... წავედი და შევიძინე ის ყუთი, 70 ლარი გადავიხადე, რაც ზედმეტი ხარჯი იყო, მაგრამ რა მექნა? — 21-ე საუკუნეში მაუგლივით ხომ არ ვიცხოვრებ?

თემური, 51 წლის: — ციფრულ მაუწყებლობაზე არაფერი ვიცი, პირველად მესმის. რამდენიმე წელია, საკაბელო ტელევიზიით ვსარგებლობ. ჩემს გარშემო, ვისაც ვიცნობ, ისინიც ასე არიან, მაგრამ თუ ახალი მოწყობილობის გარეშე ადამიანი ტელევიზორის ყურებას ვერ შეძლებს, მაშინ გამოდის, რომ ეს ძალიან ცუდია. მგონია, რომ ამით ჩვენმა მთავრობამ ჩვენი უფლებები დაარღვია. რატომ არ გვკითხა, გვინდა თუ არა ეს მოწყობილობა? აი, მაგალითად, რაიონში რომ წავალ, ჩემი საკაბელო ტელევიზია წავიღო? იქ არც ინტერნეტი მაქვს, ტელეფონი არ იჭერს. ელემენტარული პრობლემებია მოსაგვარებელი და, ჩემი აზრით, ახლა ციფრული მაუწყებლობის დრო არ იყო.

ჯონი, 67 წლის: — ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვიცოდი, რომ 2015 წელს საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდოდა. ჩემი აზრით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ყველა თანამედროვე ქვეყანა ვალდებულია, ახალ გამოგონებას, თუ კარგი და სასარგებლოა, ფეხი აუწყოს. ცუდი ისაა, რომ ამ სიახლისთვის მთავრობამ არ მოგვამზადა. მომზადება კი ის იქნებოდა, თუ ყველა მოქალაქეს სათითაოდ მისცემდა ამ მოწყობილობას. ჩემი ინფორმაციით, ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეს მოწყობილობა უფასოა. ჩემი ქალიშვილი ბელგიაში ცხოვრობს, იქ ყველა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა უფასოა. ამბობენ, რომ ციფრული მედიის მეშვეობით, ძალიან იოლია ჰაკერული მაქინაციების განხორციელება და თვალთვალი...

გურამი, 64 წლის: — საკაბელო ტელევიზიის ვსარგებლობ და ახალ მაუწყებლობაზე გადასვლა ჩემთვის პრობლემის მომტანი არ ყოფილა, ჩემს დას კი, რომელიც სოციალურად დაუცველია და იმის საშუალება არ აქვს, დამატებითი ტექნიკა შეეძინა, მერიამ ახალი სიგნალის დასაჭერი მოწყობილობა გადასცა, როგორც ვიცი, უფასოდ. ისე, არ მესმის, ამ ახალ მაუწყებლობას რა მიზანი აქვს...

შეგახსენებთ: საქართველოს მასშტაბით, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა აგვისტოში დასრულდება.

„მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვას თბილისის მერია არავინ ჰკითხავს!“

მე-6 გვერდიდან

სახელმწიფომ საქართველოს მოქალაქეს იმის საშუალება მისცეს, რომ 10 000 ან 20 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გამოიმუშაოს და მერწმუნეთ, მარჯვენასაჭიან ავტომობილს არც კი შეხედავს, ახალ მანქანას შეიძენს, ავტოსალონიდან გამოიყვანს, რომელსაც 5-6 წელი თითის დადებაც არ დასჭირდება და რომელიც არც ჰაერს წამლავს, კარგად ამუხრუჭებს და უსაფრთხოცაა. როდესაც ადამიანს 2 500 აშშ დოლარიც კი არ აქვს, კრედიტით, რა თქმა უნდა, კარგ მარჯვენასაჭიან მანქანას იყიდის. მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, რომელიც იაპონიიდან შემოდის, პატარა ასაკისაა, ცოტა გარბენი აქვს, ხარისხიანი და კარგად მოვლილია, რადგან იაპონელებმა მანქანის მოვლა იციან. კილომეტრაჟის ჩამოყრა და მოუვლელობა იაპონიაში მკაცრად ისჯება, ამიტომაც აქვთ მანქანის მოვლის კულტურა. გარდა ამისა, იაპონური მანქანა უსაფრთხოების პაკეტითაც კარგადაა აღჭურვილი.

ისევ მთავარ თემას დავუბრუნდეთ: თუ მარჯვენასაჭიანი მძღოლი საგზაო მოძრაობის წესებს არ არღვევს, რატომ უნდა ავკრძალოთ, არ მესმის, თუმცა რამდენადაც მარჯვენასაჭიანი მანქანების იმპორტის აკრძალვის წინააღმდეგი ვარ, იმდენად კატეგორიულად ვთხოვ ამ ტიპის ავტომფლობელებს: ნუ „იტაქსავებთ“, რადგან ორ-კარიანი და მარჯვენასაჭიანი მანქანით „ტაქსაობა“ არ შეიძლება, თან მოქმედი რეგლამენტით, მარცხენა მხრიდან მგზავრის ჩაჯდომა-გადმოჯდომა აკრძალულია; იაპონური მანქანის ფარები საქართველოში შემხვედრ ნაკადს აბრმავებს, ამიტომ კეთილი, ინებეთ და ფარები შეცვალეთ და რაც მთავარია, ნუ გადაიტანთ მარჯვენასაჭიანი ავტომობილის საჭეს მარცხენა მხარეს!

— ამ აკრძალვით მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტიორებს ებრძვიან, ანუ იაპონიიდან იმპორტი უნდა ჩანაცვლდესო...

— ასე რომ იყოს, ერთ ამბავს ავტეხდი! ზოგადად, ქვეყანაში ბევრი იმპორტიორია... შეგიძლიათ, „გუგლის“ საძიებო სისტემაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ჩაწეროთ და გაგიკვირდებათ, იმდენ შეთავაზებას ნახავთ. რაღა შორს მივდივარ, ახლავე შეგვიძლია, ინტერნეტით იაპონიაში ავტომობილების აუქციონი მოვძებნოთ, დავრეგისტრირდეთ, დავდოთ დეპოზიტზე გარკვეული თანხა და რომელი ავტომობილიც მოგვეწონება, შევიძინოთ. რაც მთავარია, გადამზიდავსაც ჩვენ ავირჩევთ და ერთ თვეში, ავტომობილი თბილისში რომ ჩამოვა, დაგვირეკავენ, წაიყვანეთო. მოკლედ, ამ ბაზარზე მონოპოლია არ არის, რადგან ავტობაზრობაზე რომ გახვიდეთ, ისეთი სიტუაცია დაგხვდებათ, უმანქანოდ არ გაგიშვებენ. საერთოდ, ავტომობილების გაყიდვა 65%-ით შემცირდა და ხშირად თვითღირებულებაზე ნაკლებადაც ყიდიან, რომ კრედიტები დაფარონ.

ძველ თბილისში ბინები დღე-დღეზე ჩამოინგრევა!

ყავლაშვილისა და ვერცხლის ქუჩების მოსახლეობა დახმარებას ითხოვს!

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

ძველ თბილისში საცხოვრებელი ბინების მძიმე ავარიული მდგომარეობა არცთუ ძნელი შესამჩნევია: კედლები დახეთქილ-დაბზარულია, კიბეები სიძველისა და წვიმისგან ჩამომპალია, სარდაფები ნაგვითა და წყლითაა სავსე. მსგავსი პრობლემების წინაშე დგას ყავლაშვილის, სულთნიშნის, ვერცხლისა და მათ მიმდებარე ქუჩებზე განთავსებული ძველი სახლები და კორპუსები. როგორც ყავლაშვილის ქუჩის მოსახლეობა „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, ბინები სასწრაფო დემონტაჟს საჭიროებს.

„ვერსიას“ „თბილისის განვითარების ფონდის“ პრესსამსახურში განუცხადეს, რომ ამჟამად, ყავლაშვილის №9-სთან დაკავშირებით ტენდერი მიმდინარეობს, მისი დასრულებისთანავე, საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა დაიწყება, თუმცა წლევანდელ დაგეგმარებაში ყავლაშვილის ქუჩაზე მდებარე სხვა ბინების დემონტაჟი არ შედის.

„ბინის ქირა, სტანდარტულად, 400 ლარია, რასაც მერიის სამსახურები მოსახლეობას დროებით ქირით უზრუნველყოფის შემთხვევაში სთავაზობენ. ვერცხლისა და სულთნიშნის ქუჩები 2015 წლის ბიუჯეტში შეტანილი არ გახლავთ. წლის ბოლოსთვის 2016 წლის ბიუჯეტი დაიგეგმება და შესაბამისად მაშინ გვექნება ინფორმაცია, მომავალში რომელი სახლების რეაბილიტაცია მოხდება“, — აცხადებენ „თბილისის განვითარების ფონდში“.

ბინის ჩამონგრევისა და დიდი საფრთხის წინაშე დგას ბედისა შავიშვილის ოჯახი, რომელიც ყავლაშვილის №3-ში ცხოვრობს. როგორც ქალბატონი ბედისა ამბობს, ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა შესაძლოა, ნებისმიერ დროს ჩამოინგრეს, რასაც მსხვერპლიც მოყვება: **„ღმერთს ვთხოვ, არავინ მოყვეს ნანგრევებში. არც ინვესტორი ჩანს და არც მერიასა თუ მთავრობას აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა. ღმერთის იმედად ვართ დარჩენილები“.**

ყავლაშვილის ქუჩაზე მცხოვრები მანანა გვაზავა კი ბინიდან იმ მიზნით გამოიყვანეს, რომ უნდა დაენგრიათ და ახალი კორპუსი აეშენებინათ, სადაც იმავე ფართის საცხოვრებელს მიიღებდა, რაც ჰქონდა, თუმცა ეს პროცესი 3 წელია გრძელდება: **„ყვალაშვილის №9-ში ვცხოვრობ. 3 წელია, ფონდმა ქირით გამიყვანა, ბინის დემონტაჟსა და შესაბამისი ფართით უზრუნველყოფას ველი. ჩვენი საცხოვრებელი კორპუსი „ქალაქის განვითარების ფონდის“ ფარგლებში მოხვდა და იმედი მაქვს, პროექტი მალე განხორციელდება“.**

მეზობლების მსგავსად, მაია კრიხელის საცხოვრებელი სახლიც მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია. ქალბატონი მაია დახმარებას მერიასა და ხელისუფლებას სთხოვს: **„ყავლაშვილის №5-ში ვცხოვრობ, ძველ ბინაში. ყურადღებას არავინ გვაქცევს, ბინა დასანგრევია, მაგრამ არ ანგრევენ. ბინების დემონტაჟზე სააკაშვილის დროს მოგვაკითხეს და რამდენიმე ბინა დაანგრიეს კიდეც, მას შემდეგ აღარავინ გამოჩენილა. მერიაში გვეუბნებიან, თანხა არ გვყოფნის, რომ თქვენი უზრუნველყოფა მოვახერხოთო, არადა ბინები ინგრევა და დღეს თუ ხვალ, შეიძლება, ნანგრევებში აღმოვჩნდეთ. ინვესტორიც არ ჩანს“.**

„თუ რუსეთის შეგვეშინდება, ხვალ მონები ვიქნებით!“

რა ხდებოდა კანცელარიასთან გამართულ აქციაზე

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

საღამოს 6 საათია, მეტროსადგურ „თავისუფლებასთან“ „ერთმუშტად შეკრული“ 50-მდე პოლიციელი კიბეზე ადის. ვეკითხები, რა ხდება და სად მიდიხართ-მეთქი. მპასუხობენ, რომ არ იციან... „მეორადების“ გამყიდველს ვხედავ, რომელიც რკინის ღობეზე ძველმოდურ პიჯაკს კიდებს. მასაც იგივე კითხვას ვუსვამ. მპასუხობს, რომ მთავრობის სახლთან ახალგაზრდები შეიკრიბნენ და რუსეთის მცოცავ ოკუპაციას აპროტესტებენ. მაგათ ვენაცვალე, გაუმარჯოს ერთიან საქართველოსო, — ბებო ნასვამი ჩანს... გზას ვაგრძელებ.

„თავისუფალ თეატრთან“ ქართველი „სელებრითები“ შეკრებილან, მათ შორისაა „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობი თინა მახარაძე და მის „ბოიფრენდი“ დიმუ მენაბდე. პოეტი დავით დეფი გოგიბედაშვილიც აქაა. სხვათა შორის, პირველი სლოგანი — „სტოპ რაშა“ სწორედ მისი შექმნილია. კანცელარიის ქვედა ეზოში, შადრევანთან, ახალგაზრდები საყვირებს, ფერად ბანერებს, საქართველოსა და უკრაინის დროშებს ანაწილებენ — როგორც ჩანს, თითოეულმა ზუსტად იცის, რა ევალება. ერთ-ერთი დემონსტრანტი მეუბნება, აქციის გამართვაში „ტაბულას“ რედაქტორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა ყველაზე დიდი შრომა გაწიაო.

მთავრობის სახლთან რამდენიმე ასეული ადამიანი მხვდება, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის წევრებიც — გოკა გაბაშვილი, ნიკა მელია, ირმა ნადირაშვილი, ანდრო ბარნოვი. მეტწილად, აქ ის ადამიანები არიან, ვინც საკუთარ თავს პარტიულ ელიტას უწოდებს; ისინი, ვინც გენდერული თანასწორობისთვის იბრძვიან, მარიხუანის დეკრიმინალიზაციას ემხრობიან და ჰომოფობიას გმობენ. აქ ისინიც არიან, ვისაც, უბრალოდ, პროტესტის გრძნობა და მისი გამოხატვის სურვილი აქვს!

„PUTIN KHUILO“ „GO RUSSIA“ „ABKHAZIA AND SAMACHABLO IS GEORGIA“ „WE NEED FREEDOM“ — ყველა ბანერი, სამწუხაროდ, ინგლისურეოვანია. არადა, ჩვენ ხომ რუსულ ოკუპაციას ჩვენსავე მიწა-წყალზე ვაპროტესტებთ და ვიდრე ხმას სხვას მივაწვდენთ, ჯერ თავად უნდა გავერთიანდეთ, თუმცა ბანერების ტექსტებს იმდენად ვიზიარებ, რომ ვჩუმდები და ახალგაზრდებით გაძეძგილ საპროტესტო აქციას ვუერთდები.

აქციის მონაწილეებს კიდევ ერთი საკვანძო ფრაზა გვაერთიანებს: „FUCK PUTIN!“ ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც სტიკერებს არიგებს, უკანასკნელ სტიკერს მაძლევს. წყალი არ გაუვა — ამ წუთიდან აქციის ჭეშმარიტი მონაწილე ვარ!.

ისე, ყველაზე მეტად ის მაინტერესებს, რას ფიქრობენ აქ მყოფი ახალგაზრდები, რომელთა ნაწილიც კედებითაა მოსული, ნაწილი — როლიკებით, ნაწილიც — ველოსიპედით. საინტერესოა, იაზრებენ თუ არა ამ აქციის მნიშვნელობას და როგორ უყურებენ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხს?

თეკლა, 25 წლის: „ჩემი აქ ყოფნის მიზანი ისაა, რომ რუსულ ოკუპაციას ვუთხრა — არა! ჟურნალისტი ვარ, ხურვალეთშიც ვიყავი და მთელი არსებით გავაპროტესტე რუსული ბანერების დადგმა. მინდა, ქართველებს ხმის ამოღების უფლება გვქონდეს და ჩვენი ხმა მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ გაიგოს“.

გენადი, 21 წლის: „მეგობრებთან ერთად მოვედი, არ მომწონს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა. ჩემი აზრით, დიალოგი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მგონია, რომ ბევრი ის საკითხი, რაც ასეთ რეჟიმში ვერ მოგვარდა, სხვა რეჟიმში უნდა განიხილონ, რა თქმა უნდა, მშვიდობიან ფორმატს ვგულისხმობ. აქ ომზე არავინ ლაპარაკობს...“

ნოდარი, 19 წლის: „აქციის შესახებ „ფეისბუქით“ გავიგე, ჩვენ მუსიკოსები ვართ, აქ მოვედით, რომ ხალხი გავამხნევოთ. საერთოდ, მაგარი პატრიოტი ვარ და თუ ჩემი ქვეყნისთვის საჭირო გახდა, ყველაფერზე წავალ.“

შვიდის წუთებია, მსახიობი მიშა მშვილდაძე კანცელარიასთან შეკრებილ ადამიანებს მოსვლისთვის მადლობას უხდის. ორგანიზატორებს შორის არიან ევროკავშირში საქართველოს ყოფილი ელჩი სალომე სამადაშვილი, რეფორმების ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი სერგი კაპანაძე, პოლიტოლოგი გუგა სულხანიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნინო დანელია, თეოლოგი ბექა მინდიაშვილი, იურისტი გიორგი მშვენიერაძე და სხვები. მათ ერთი მთავარი სლოგანი აერთიანებს: „არა რუსულ ანექსიას!“

პირველი გამომსვლელი სალომე სამადაშვილია. ის საქართველოზე, როგორც დამოუკიდებელ და ერთიან სახელმწიფოზე საუბრობს და აცხადებს, რომ ქართველმა ხალხმა ნატო-ში ინტეგრაციისკენ სწრაფვა არასოდეს უნდა დაკარგოს. საქართველოს არ უნდა წაერთვას შანსი, იყოს თანამედროვე და დამოუკიდებელი სახელმწიფოო.

„ამბობენ, თითქოს თავმოყვარეობა გველახება, რომ დაუღალავად ვიღვწით ნატო-სკენ, არადა, სწორედ ამაშია ჩვენი თავმოყვარეობა. შიში რეაქციაა, სიმამაცე — გადაწყვეტილება, ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ ვიყოთ მამაცები და თუ რუსეთის შეგვეშინდება, ხვალ მონები ვიქნებით! უნდა გავერთიანდეთ, რომ არასოდეს დაგვაბრუნონ მონობაში. ჩვენ ვართ თავისუფალი ადამიანები!“, — „ტაბულას“ რედაქტორის თამარ ჩერგოლეიშვილის გამოსვლას დამსწრეებში განსაკუთრებული რეპლიკები მოჰყვა, ხო

ჩვენ არ გვინდა მონობა, არ ვართ მონები, ჩვენ თავისუფლები ვართ, არავის დავუჩოქებთ, ძირს რუსეთის აგრესიაო.

ჩერგოლეიშვილმა აბაშიძე-კარასინის დიალოგიც დაგმო და განაცხადა, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსი მკვეთრადაა შესაცვლელი. მისი განმარტებით, ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ომი.

„ჩვენ, ვისაც რუსეთის პოლიტიკა არ მოგვწონს, ხშირად გვაკრიტიკებენ იმის გამო, რომ თითქოს ომი გვინდა და სისხლი გვწყურია, ხელისუფლებამ ეშმაკური გამოსავალი მონახა და ნებისმიერ კრიტიკას ყალბი პათოსით დასმული პასუხით ხვდება: აბა, რა ვქნათ, ომი დავიწყოთო? ვითომ ერთადერთი ალტერნატივა იმისა, რაც ახლა ხდება, ომი იყოს. არა, ბატონებო, ეს არის მტკნარი სიცრუე! ჩვენ, ვისაც თავისუფალი საქართველო გვსურს, არ მოგვწონს ქვეყნის რუსული პოლიტიკა და გვინდა მშვიდობა, უნდა შევხედოთ რეალობას თვალებში, რადგან კვირა არ გავა, საოკუპაციო ზონიდან ვინმე არ გაიტაცონ. დღეს, რაც

ჩვენს ქვეყანაში ხდება, ომია, ომი არის სხვადასხვანაირი. ომი არის ტანკებით, ომი არის რბილი იარაღით და ომი არის მცოცავი. დღეს მცოცავი ომია. ეს ომი არ დაწყებულა დღეს და იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა დამყარდეს, ეს ომი უნდა მოვიგოთ ზუსტად ისე ჭკვიანურად, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოიგეს!“

კანცელარიასთან გამართული აქცია 20:00 საათზე დასრულდა. აქციის ორგანიზატორებმა, აქციის დასასრულ, კრეატიული შოუპერფორმანსი დადგეს: წითელ ხალიჩაზე რუსული ოკუპაციის სიმბოლო მავთულხლართები გააბეს. აქციაზე, ბოლო წუთამდე, ირაკლი ჩარკვიანის „საქართველო“ ისმოდა...

მსახიობმა ია ფარულავამ განაცხადა, რომ აქციაზე მეტი ადამიანის მოსვლას ელოდა: **„აქციის აზრს თავიდან ბოლომდე ვიზიარებ და ასეთი აქციები იქამდე გაგრძელდება, ვიდრე სრულ თავისუფლებას არ მივაღწევთ“.**

— ძალიან პოზიტიური, მაგრამ ცოტა უცნაური განცდა მაქვს — შინ თითქოს საბრძოლო მზადყოფნით მივდივარ. ეს კარგია? — ვკითხე აქციის ერთ-ერთ მონაწილეს.

— ვერ გეტყვი, თუმცა ვიცი, რომ რუსეთი ცუდია, აგრესორია და ჩვენი ტერიტორიები მიითვისა. რუსეთთან მეგობრობას სიკეთე არ მოაქვს. „შეტენვას“ აზრი არ აქვს. სამწუხაროა, საზოგადოების ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რომ მასთან შეჯიბრებას აზრი არ აქვს. აგრესია გამოსავალი არ არის, ლაჩარი არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ დიალოგით და მოთმინებით უფრო მეტს გავხდებით რუსეთთან, ვიდრე თითის ქნევით. დღეს, ალბათ, ემოცია უფრო მეტი იყო, ვიდრე — დიპლომატია...

სხვათა შორის, აქციის დაწყებამდ „ტაბულას“ ჟურნალისტი ლექსო მაჭავარიანი დააკავეს, რომლის სასამართლოც დღეს განახლდება.

ასეა თუ ისე, ფაქტია: რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული!

ბოზი „ბლატატაში“

როგორ „შეაწერა“ პატიმარმა ნაციონალებს ესპანეთის საგზური

პატიმარი №0578

იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს არჩევნებამდე ერთ წელზე მეტია დარჩენილი, ამის დაწერა შეიძლება. შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების მსგავსად, ახალმაც (რაღა ახალია) იგივეს გამეორება არ მოინდომოს. საუბარია არჩევნების წინ პატიმრების მასობრივ გაშვებაზე — ავტორიტეტულ კრიმინალებს, პრეზიდენტის სპეცშეწყალებით, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უბანში, სოფელში, რაიონში, ქალაქში უშვებდნენ და კონკრეტული რაოდენობის ხმებს სთხოვდნენ. მოტყუება არ გამოდიოდა, რადგან ტყუილის შემთხვევაში, პატიმარყოფილს წამალს ჩაუდებდნენ და უკან აბრუნებდნენ, თუმცა ასეც ხდებოდა — პატიმარი დაპირებულ ხმებს მიიტანდა, მაგრამ მაინც იჭერდნენ, აქოდა, მედიამ ხმაური ატეხა და შენი გარეთ ყოფნა არ შეიძლებაო. პირდაპირ ვთქვათ: კრიმინალები არცთუ იშვიათად ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარის ბედს წყვეტდნენ. კრიმინალები იყვნენ ჩართული კახეთის არჩევნებში, გურიაც მათ იმედად იყო, ქუთაისი კი... გაგიკვირდებათ და, ყველაზე ნაკლებად არჩევნებში ქუთაისელი კრიმინალები ერეოდნენ.

გიორგი რ. მეოთხედ იჯდა ციხეში. სოფელი კახეთში ჰქონდა, მაგრამ თბილისში ცხოვრობდა და, შეიძლება ითქვას, მთელი თბილისის ელიტას იცნობდა. ბოლო ორი „სროკი“ ვადაზე ადრე სწორედ არჩევნების და არჩევნებში ნაციონალების მხარდაჭერის გამო დაამთავრა, მაგრამ მაინც დაიჭირეს. თავად ამბობდა, პირველად დავაშავე და დამიჭირეს, მეორედ კი, უბრალოდ, გადამაგდეს, არჩევნების მეორე დღეს ჩხრეკა ჩამიტარეს სახლში, იარაღი და წამალი ჩამიდეს და „სროკზე“ გამომიშვესო. არადა, თავადაც აღიარებდა, არ გაჩხრიკეს ნორმალურად, თორემ იარაღს ჩადების გარეშეც იპოვიდნენ, წამალი კი მართლა არ მქონდაო.

2012 წელი დადგა. არჩევნები მოდის და გეშველებაო, ეხუმრებოდნენ პატიმრები გიორგის. ის კი უცნაურად იღიმოდა და არაფერს ამბობდა. არჩევნებამდე სამი თვით ადრე, როგორც წესი, გამსვლელი პატიმრების სიის შედგენა დაიწყო და, რაღა თქმა უნდა, გიორგისაც დაადგნენ და საგარეჯოს, სიღნაღის და თბილისის ორი უბნის მოგება მოსთხოვეს, სანაცვლოდ კი თავისუფლებას და ესპანეთის ვიზა-ბილეთებს დაპირდნენ. ბევრი ივაჭრა გიორგიმ, ძალიან ბევრი და აწუკვე ყოფილი ხელისუფლება იმაზე დაითანხმა, რომ ესპანეთში ცოლ-შვილთან ერთად წავიდოდა. ვიზა და ბილეთების დაჯავშნა გასვლამდე გააკეთებინა და მშვიდად ელოდა, როდის მოაწერდა პრეზიდენტი ხელს მის სპეცშეწყალებას.

პატიმარი №0578 გიორგის ახლოს იცნობდა, ძმაკაცობდა და არ გაკვირვებია, როცა საღამოს, კამერაში მიაკითხა. ჩაი ან ყავა თუ გინდა, კარადაშიაო, ისე მიაძახა, წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია, მაგრამ გიორგიმ ჩუმად უთხრა, სალაპარაკო მაქვსო და №0578-მაც წიგნი მაშინვე გადადო.

— მოხდა რამე?! — ჰკითხა მეგობარს.

— ჯერ არა, მაგრამ მოხდება და შენ უნდა იცოდე. ოღონდ ამის გამხელა და ჩემი „დაბრედვა“ ერთია, გესმის?! — ისე ხმადაბლა თქვა გიორგიმ, №0578-მა ძლივს გაიგო.

— არა, არ მესმის და სადმე დავსხდეთ, აქ ბევრი ყურია და ხმას თუ არ აუწევ, მართლა ვერაფერს გავიგებ, — უთხრა №0578-მა... მეგობრები ეზოში ჩავიდნენ, კუთხეში მიდგნენ და გიორგიმაც დაიწყო.

— მოკლედ, ახლა იმის შანსია, რომ ეს სატანები წავიდნენ. შესაბამისად, მე რომ ამაში წვლილი არ შევიტანო, პირველ რიგში, საკუთარ თავთან არ ვიქნები მართალი. ამიტომ გავდივარ გარეთ, რომ ის, რასაც ესენი მთხოვენ, პირიქით გავაკეთო. გესმის? ამათ არჩევნები უნდა წააგონ. თუ მოიგეს, ჩათვალე, სამუდამო მაქვს, მაგრამ როგორც კი გავალ, ცოლ-შვილს ესპანეთში გავუშვებ, მერე კი რაც იქნება, იქნება. ხომ გახსოვს, მაშინ იარაღი ჩამიდეს, ვერ იპოვეს ჩემი იარაღი და ეგ არის, რა, — დაასრულა გიორგიმ.

— ჰო, მაგრამ... გაგიგებენ უეჭველი და ამათი გამარჯვების შემთხვევაში, მართლა თავი შეაკლა, ჯობია. ეს ისეთი საქმეა, რჩევა უმადური საქციელია, მაგრამ... სხვანაირად რომ მოიქცე, მართლა არ იქნები საკუთარ თავთან მართალი, — უთხრა №0578-მა და საუბარიც დასრულდა.

ორი დღის შემდეგ, გიორგის ადმინისტრაციაში დაუძახეს. ყველას დაემშვიდობა, სვაბოდაზე შევხვდებითო, დაიბარა და წავიდა. მეორე დღეს №0578-მა გიორგის შვილს დაურეკა, როგორ ხართო?!

— არ ვიცი, როგორ ვართ. გიორგის გამოსვლას ველოდებოდით, მაგას კიდევ რაღაც ახალი ბრალი წაუყენეს, ახლა გლდანშია. რაღაც ძველი საქმეო, ძიებაა დაწყებული, სასჯელი უნდა დავუმატოთო, — გიორგის ქალიშვილი ტიროდა.

— მოიცა, რას ამბობ? გუშინ არ გაუშვეს? — ჰკითხა №0578-მა.

— არა, რა გამოუშვეს? ახალი ბრალი წაუყენეს. გლდანის ციხეშია გადაყვანილი, — მიუგო გოგონამ.

პატიმარმა ტელეფონი გათიშა, იქვე მდგომ მაყურებელს ჩუმად უთხრა, „სხადნიაკი“ მოიწვიე, სერიოზული საქმეაო და კამერაში ავიდა. ცოტა ხანში მაყურებლების კამერაში შევიდა და მთელი ბლატატა იქ დახვდა.

— გუშინ აქედან გიორგი წაიყვანეს, ჩვენი ძმაა, ყველამ იცის. სვაბოდაზე უნდა გაეშვათ, ყველამ იცის, რატომაც. ჰოდა, მაგის ნაცვლად, გლდანის ციხეშია ახალი ბრალდებით და რასკრუტკა ელოდება. ორი დღის წინ გიორგიმ მითხრა, რომ „სვაბოდაზე“ ნაცებს არ უნდა დახმარებოდა. როგორც ჩანს, ეს სხვას ან სხვებსაც უთხრა, ინფორმაციამ გაჟონა და ბიჭი გაიწირა. ის, რომ გიორგი „პეხოტას“ არ ეტყოდა ამ ამბავს, ყველამ იცის და გამოდის, ბლატატადან გავიდა ამბავი ანუ ბლატატაში ვიღაც ბოზობს და დანარჩენი თქვენ იცით, — მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი აზრი №0578-მა.

— ხელს ვის ადებ?! — ჰკითხა მაყურებელმა.

— მე ხელს ვერავის დავადებ. გეუბნებით, რომ ერთ-ერთი, ვინც ეს იცოდა, მე ვარ და შეგიძლიათ, ეჭვი ჩემზეც მოიტანოთ. დანარჩენები ვინ არიან, არ ვიცი და როგორც ჩანს, არც არავინ აპირებს თქმას, — თვალი მოავლო №0578-მა კამერას.

— ეგ თემა მეც ვიცოდი და კიდევ ვინ იცოდა, ისევ გიორგი გვეტყვის, მალიავას გავუშვებ გლდანში და იქიდანაც მოგვივა პასუხი. ორი კვირა უნდა ამ ამბავს მაქსიმუმ, — თქვა მაყურებელმა და სხადნიაკიც მორჩა.

ორი კვირის შემდეგ, გიორგისგან ისეთი პასუხი მოვიდა, რასაც არავინ ელოდა: ეს ამბავი მხოლოდ პატიმარმა №0578-მა და მაყურებელმა იცოდა.

— ახლა რა ვქნათ?! — მაყურებელმა №0578-ს შეხედა.

— ახლა მე მაცადე ერთი კვირა, — ჩუმად თქვა პატიმარმა და კამერიდან გავიდა. მეორე ღამეს პატიმარი №0578 კამერიდან ადმინისტრაციის შენობაში გადაიყვანეს.

— გოგა, სწორად გამიგე, რასაც ახლა გეტყვი. გიორგის ამბავი კი იცი შენ და მაგ თემამ ზონიდან გაჟონა. ახლა ის იწერება, რომ მხოლოდ მაყურებელმა და მე ვიცოდით ეს ამბავი ანუ ჩვენ ორიდან ერთ-ერთი გაბოზდა. მე გამომრიცხე, რადგან აქ ვარ, მაყურებელი კიდევ... სიმართლე გითხრა, ვენდობი და არ მჯერა, რომ ეგ იკისრებდა. არის რაღაც ან ვიღაც, რაც არ ვიცი და რაც გამეპარა და შენ უნდა მითხრა, ვინ გაბოზდა და როგორ გავიდა ინფორმაცია, — №0578 ოფიცერს ესაუბრებოდა.

ოფიცერს ჯერ გაეღიმა, მერე გაეცინა, ბოლოს კი, ხარხარი აუტყდა. პატიმარი გაოცებით უყურებდა გოგას და როცა ის სიცილს მორჩა, ცოტა გაბრაზებით ჰკითხა:

— სასაცილო ვთქვი რამე?!

— უფრო ჭკვიანი მეგონე. როგორც ჩანს, ცხელ გულზე მოხვედი აქ, თორემ რომ გეფიქრა, კი მიხვდებოდი. არა, რა, რას უშვრება ეს ციხე ხალხს? სად არის შენი ანალიზის უნარი, ასე რომ ამაყობ? — უთხრა გოგამ და მაგიდიდან რაღაც ხელნაწერი აიღო, — თუ იცი, ვისი დაწერილია?!

პატიმარმა ყურადღებით დაათვალიერა ხელნაწერი და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— ჰოდა, გიორგის კალიგრაფია იცი? იცი, რომ მაგის დაწერილია ეგ წერილი? სხადნიაკზე რომ გამოაცხადე, ბლატატაში ბოზი გვყავს და გიორგი გვეტყვის, კიდევ ვის უთხრაო, როგორ გგონია, თქვენამდე გიორგის წერილი მოვიდოდა თუ ის, რაც ჩვენ გვინდოდა? ამის თქმის უფლება არ მაქვს, მაგრამ ახალ წერილს ორი კვირა დასჭირდება კიდევ, ორ კვირაში კი... — აღარ დაასრულა გოგამ.

— რა მოხდება ორ კვირაში?! — ჰკითხა №0578-მა.

— მიხვდები შენით. ისედაც ბევრი გითხარი, წადი ახლა, — უთხრა გოგამ.

პატიმარი მეორე დღეს მაყურებელთან მივიდა და ცალკე ესაუბრა. გლდანის ციხეში გიორგისთან ახალი წერილი გაიგზავნა, ორ კვირაში პასუხი მოვიდა — მაყურებლის და პატიმარ №0578-ს გარდა სიაში კიდევ ერთი სახელი ეწერა — გიორგის სოფლელის და თანამესაკნის.

— სამი დღეა, გაუშვეს ეგ ბოზი, — კბილებში გამოსცრა მაყურებელმა.

— ჰო, მაგას გულისხმობდა, ალბათ, გოგა, — თავი გადააქნია №0578-მა.

***

გიორგის გასამართლება ვერ მოასწრეს, ხელისუფლება შეიცვალა, ახალმა ხელისუფლებამ კი, მტკიცებულებების არარსებობის გამო, საქმე შეწყვიტა. სასჯელთა შემცირების პრინციპით, სხვების მსგავსად, მისჯილის ნაწილი გიორგისაც მოეხსნა და დღეს ცოლ-შვილთან ერთად ესპანეთში ცხოვრობს.

ვერსიანიუსი

სამცხე-ჯავახეთში უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენისა და ბორჯომის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 16 პირი: 1960 წელს დაბადებული თენგიზ ბ, 1987 წელს დაბადებული ზურაბ გ, 1963 წელს დაბადებული გურამ გ, 1989 წელს დაბადებული ჯაბა ს, 1985 წელს დაბადებული მერაბ ვ, 1990 წელს დაბადებული მალხაზ მ, 1973 წელს დაბადებული რევაზ ც, 1990 წელს დაბადებული თენგიზ ნ, 1977 წელს დაბადებული ალექსანდრე ჩ, 1960 წელს დაბადებული დავით გ, 1975 წელს დაბადებული ვეფხია ა, 1981 წელს დაბადებული პაატა ფ, 1976 წელს დაბადებული დავით კ, 1976 წელს დაბადებული გიორგი შ, 1979 წელს დაბადებული ალექსანდრე გ. და 1983 წელს დაბადებული ვახტანგ ვ. ტყით უკანონოდ სარგებლობის, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ხე-ტყის ტრანსპორტირების და შესაბამისი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანების, ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე ამხილეს. სამართალდამცველებმა ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევში, მხილებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში, უკანონო სახერხი საამქრო დალუქეს. ჯაბა ს-ს მოხსნილი ჰქონდა გარემოსდაცვითი სამსახურის მიერ დადებული ლუქი და უნებართვოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავებას გეგმავდა. პოლიციამ ჯაბა ს-ს საცხოვრებელი სახლის ეზოდან უკანონოდ მოპოვებული 8,80 კუბ.მეტრი სამასალე მერქანი და 4,30 კუბ.მეტრი დამუშავებული ფიცარი, ბორჯომის რაიონში - უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი ჯიშის, 5,8 კუბ.მეტრი სამასალე მერქანი და 18 ცალი, 3 მეტრის სიგრძის სამასალე მერქანი, ხოლო ადიგენის რაიონში - უკანონოდ მოჭრილი, 3 მეტრის სიგრძის, წიწვოვანი ჯიშის 114 ცალი მრგვალი მორი, 3 კუბ.მეტრი დახერხილი ფიცარი და 6 კუბ.მეტრი სამასალე მერქანი ამოიღო. სამართალდამცველებმა ორივე რაიონში უკანონო სახერხი საამქროები დალუქეს.

გამოძიება ტყით უკანონოდ სარგებლობის, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ხე-ტყის ტრანსპორტირების, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანების და ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლით, 84-ე პრიმა-1 მუხლით, 128-ე პრიმა-2 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით, 128-ე პრიმა-3 მუხლის მე-3 ნაწილით).

ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის მცდელობისთვის ერთი პირი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თაღლითობის მცდელობის ბრალდებით მოქალაქე აკაკი კარტოზია დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, აკაკი კარტოზია თურქეთის მოქალაქეს თურქეთის და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მიღებაში დახმარებას დაპირდა, რის სანაცვლოდაც 6000 აშშ დოლარი მოსთხოვა.

სამართალდამცველებმა აკაკი კარტოზია თბილისში, მის მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილის - 3000 აშშ დოლარის აღების დროს დააკავეს. გამოძიება თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სისხლის სამართლის კოდექსის 19-180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე ითვალისწინებს). გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

1. მუცლის აკის ანთება
2. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე
3. რიცხვის მეასედი ნაწილი
4. მოღალატე, განდგომილი
5. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
6. „წმინდა ადგილში“ სალოცავად მიმავალი მორწ.
7. უკმაყოფილების გამოხატვა, საჩივარი
8. „ანა კარენინას“ ავტორი
9. წელზე შემოდებული ხელები იდაყვებით გარეთ
10. სახელმწიფო აფრიკაში
11. ბირმის უდიდესი მდინარე
12. ფიგურული სახაზავი
13. გამოჩენილი რუსი მეცო-სოპრანო
14. სვეტებიანი გალერეა, პორტიკი
15. მექანიკური მუშაობის ერთეული
16. ამერიკელი მომღერალი, „სოულის ნათლია“
17. სტალონე ცნობილი კინოროლი
18. ინდონეზიური ვულკანი კამერი
19. ინდური სატრანსპორტო საშუალებების მწარმოებელი კომპანია
20. ფრედი მერკურის ჯგუფი
21. საოპერო პარტია
22. პარიზის სიმბოლო
23. ელექტრული მოხტის არმქონე ელემენტარული ნაწილაკი
24. ესპანელი რევოლუციონერი ქალი
25. შვლის ნაშიერი
26. გასული საუკუნის პოპულარული ცეკვა
27. ებრაელთა სადღესასწაულო ხმიადი
28. ტბა იტალიის ჩრდილოეთში
29. მარტოხელა ბიჭი
30. აშშ-ის შტატი
31. ილიას „...-ადამიანი?!“
32. დახრილი კოშკით განთქმული ქალაქი
33. ადამიანის გამოსახულება მკერდამდე
34. ხმლის ტარი
35. პატარა ბუტერბროდი
36. იტალიელი ნობელიანტი დრამატურგი
37. კომპიუტერის ეკრანზე გამოსახული მოძრავი ნიშანი
38. გერმანული ავტომარკა
39. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
40. ყნოსვის უქონლობა
41. ხის ცხენით დაპყრობილი ანტიკური ქალაქი
42. გერმანული კოსმეტიკური ფირმა
43. აქლემის უკუზო „ნათესავი“
44. გერმანიის სამრეწველო რეგიონი
45. ვერდის ოპერა
46. ესკიმოსთა ნავი
47. ფილიპინების უმაღლესი მწვერვალი
48. მხარე გერმანიაში
49. იაპონელთა ჯიბის ყუთი
50. დეკორატიული ბუჩქი
51. იაპონიის სიდიდით მესამე კუნძული
52. უდიდესი სიზუსტე მათემატიკაში
53. ხარების ბრძოლა
54. კოლხეთის მითიური მეფე
55. გათენება, გარიჟრაჟი
56. შხამიანი გომბეშო
57. სოფელი გორის რაიონში
58. ჭადრაკის ფიგურა
59. ტბა აფხაზეთში
60. თვალის გუგა
61. „შევროლეს“ მოდელი
62. ტაილანდის ძველი სახელწოდება
63. ხელოვნების ნაწარმოებთა მაღაზია
64. შეძ. კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
65. (ძვ.) ბეწვის და ქუდის მკერავი
66. თბილისის უბანი
67. კატის ხმიანობა
68. ბიბლიური პატრიარქი
69. შემოქმედების ბუნებრივი უნარი
70. მდინარის თევზი
71. მამალი კვიცი
72. ადამიანის ხასიათი, ტემპერამენტი
73. არტემიდეს რომაელი „კოლეგა“
74. ქართული ხალხური სიმღერა
75. სამი წერტილი კამათელზე
76. უდანაშაულობის საბუთი
77. სახელმწიფოს ატრიბუტი
78. სასიგნალო ტივტივა წყალზე
79. ბალახის ჩრდილი
80. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
81. „მადლობა“ იაპონურად
82. მდინარე სამხრეთ ამერიკაში
83. ამერიკული როკ-ჯგუფი
84. ინდოელი პოლიტიკოსი
85. ლუდის ბარი ინგლისში
86. ფიროვანი ვულკანური ქანი

ინტერნეტნარკომანებისთვის კლინიკა გახსნეს

პენსილვანიის შტატში, ცენტრალური ფსიქიატრიული საავადმყოფო პირველი სამკურნალო დაწესებულება გახდება, რომელიც ინტერნეტდამოკიდებულ პაციენტებს უმკურნალებს. კლინიკა მზადაა ავადმყოფების მისაღებად, რომლებსაც 10-დღიან სამკურნალო კურსს სთავაზობენ. პროგრამა კოგნიტიური ფსიქოლოგიის სპეციალისტებმა იმ მეთოდით შეიმუშავეს, რაც ალკოჰოლიზმისა და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის შემთხვევაში გამოიყენება. პროგრამა ჯგუფურ მეთოდს — ერთდროულად, 4 პაციენტის მკურნალობას ითვალისწინებს, რომლებიც სამკურნალო დაწესებულებაში ლოთებისა და ნარკომანების გვერდით მოთავსდებიან. პროგრამა განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვინც ინტერნეტდამოკიდებულების გამო, ვირტუალურ რეალობას თავს ვერ აღწევს და ყოველდღიურ ცხოვრებას ვერ აკონტროლებს. სპეციალისტები დახმარებას სთავაზობენ მათ, ვინც ინტერნეტის გამო მოწყვეტილია ყოველდღიურ საქმიანობას, თავის დაღწევა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს. 10-დღიანი კურსის ღირებულება 14 ათასი დოლარია და ჯერჯერობით, მას ამერიკაში მოქმედი არც ერთი სადაზღვევო პაკეტი არ ანაზღაურებს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

			5	4			8	7
9		5						
	3				7	2		
	6				2		3	
8		2		3		1		4
	9		4				2	
		7	1				6	
						4		2
5	2			8	4			

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		8						
9		5				4		6
4	6				7	2		
8	5		7					
	4		2	5	8		6	
					3		5	4
		4	1				3	5
6		2				1		8
						7		

ᲠᲗᲣᲚᲘ

2		1						3
	9	7	6					
			1	3	8			
4		5	8				9	
	7						8	
	3				9	5		4
			9	2	4			
					5	4	3	
6						7		9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		9		4		2		6
3		6		7				
	5		9					
		7	3				1	5
8								7
5	1				4	9		
					2		6	
				3		4		1
6		5		1		8		

ასაკს სიარულის მანერით ამოიცნობენ

იაპონელმა სწავლულებმა ოსაკას უნივერსიტეტიდან შეიმუშავეს სისტემა, რომელიც ადამიანის ასაკს მისი სიარულის მანერით დაადგენს და 4 ათასზე მეტი, სხვადასხვა ასაკის მოხალისე შეისწავლეს. ყოველმა მათგანმა ორჯერ გაიარა 6-მეტრიანი მანძილი და ეს კამერაზე იწერებოდა. შედეგად მკვლევარებმა შექმნეს მონაცემთა ინტერაქტიური ბაზა, რომელშიც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების სიარულის მოდელია შეყვანილი, ასევე მათი განმასხვავებელი ნიშნები, როგორიცაა ნაბიჯის სიგრძე, ხელების მოძრაობა, ზურგის კუნთების დაჭიმულობა... მონაცემთა ასეთი სისტემის მეშვეობით ადვილად გაარკვევენ, ახალგაზრდაა თუ არა პიროვნება: 20-დან 30 წლამდე ადამინები ძალიან არ აქნევენ ხელებს სიარულისას, როგორც შედარებით უფროსი თაობა (40-50 წელი). გარდა ამისა, დაკვირვებამ აჩვენა, რომ ასაკის მატებასთან ერთად ადამიანი სულ უფრო ძლიერად იკუზება სიარულისას. ახალ სისტემას ტოკიოს სამეცნიერო მუზეუმში დააყენებენ.

გამყინვარებამდე 15 წელი დარჩა

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჩვენს პლანეტაზე გლობალურ გამყინვარებამდე სულ რაღაც 15 წელი დარჩა. ასეთი დასკვნები ინგლისში გამართულ კონფერენციაზე გაკეთდა. სწავლულების თქმით, წელს მზე თავის 26-ე ციკლში შედის, რის გამოც მისი აქტივობა მნიშვნელოვნად შემცირდება. ამ პერიოდში მზეზე, მის ნახევარსფეროებში ორი ტალღა წარმოიქმნება, ისინი ურთიერთქმედებით ერთმანეთს გაანეიტრალებენ, რაც მზის აქტივობას დააქვეითებს. შედეგად დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა, დღევანდელთან შედარებით, დახლოებით 60%-ით დაეცემა. ეს წარმოუდგენელ ყინვას გამოიწვევს ჩვენს პლანეტაზე. მკვლევარები აცხადებენ, რომ მათი მონაცემებისა და გათვლების სანდოობა 97%-ია. ადრე მგავსი ვერსია წამოაყენეს იაპონელმა და რუსმა მეცნიერებმა. მათი პროგნოზით, დედამიწაზე გამყინვარების პერიოდი 2055 წლისთვის უნდა დადგეს. მსგავსი მოვლენა დაახლოებით სამი საუკუნის წინაც მოხდა და 1645-დან 1715 წლამდე გაგრძელდა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	3	8	1	9	4	2	7	6
4	7	2	8	3	6	1	5	9
1	9	6	2	5	7	4	8	3
9	8	7	4	6	5	3	2	1
2	1	5	9	8	3	7	6	4
6	4	3	7	2	1	5	9	8
7	6	4	5	1	8	9	3	2
3	2	1	6	7	9	8	4	5
8	5	9	3	4	2	6	1	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	5	7	4	3	6	2	1	9
4	1	6	5	2	9	3	8	7
3	9	2	1	8	7	5	6	4
9	6	5	8	1	4	7	3	2
7	4	8	2	9	3	1	5	6
2	3	1	7	6	5	9	4	8
1	2	4	3	7	8	6	9	5
6	8	3	9	5	2	4	7	1
5	7	9	6	4	1	8	2	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	7	5	4	6	3	1	9	8
8	4	3	5	1	9	7	2	6
1	6	9	2	8	7	5	3	4
9	8	2	3	5	6	4	7	1
7	5	1	9	4	2	8	6	3
4	3	6	1	7	8	2	5	9
3	2	8	7	9	4	6	1	5
6	1	7	8	3	5	9	4	2
5	9	4	6	2	1	3	8	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	3	8	2	1	6	9	7	5
7	1	6	9	5	4	3	2	8
5	2	9	3	8	7	1	6	4
3	8	5	7	4	2	6	1	9
9	6	7	1	3	8	5	4	2
2	4	1	6	9	5	8	3	7
6	9	4	5	7	3	2	8	1
1	7	3	8	2	9	4	5	6
8	5	2	4	6	1	7	9	3

მე-10 გვერდი: 1. ბალანსირი; 2. ეგოიზმი; 3. ბიმი; 4. ლურსმანი; 5. ნეკროლოგი; 6. გაუდეამუსი; 7. იატროგენია; 8. „მერი“; 9. აპორტი; 10. ონიქია; 11. კორომი; 12. უსტარი; 13. კროუ; 14. ჩიტა; 15. პინა; 16. კოტე; 17. ორმო; 18. გრეი; 19. ორტი; 20. ნარი; 21. ოინი; 22. მზეო; 23. როქი; 24. ისანი; 25. ბადია; 26. ისლი; 27. ნუნა; 28. იორი; 29. დეფინიცია; 30. „ბედი ქართლისა“; 31. აირი; 32. ნასრედინი; 33. სიბარიტი; 34. ედემი; 35. ემი; 36. იანიჩარი; 37. სიო; 38. იბისი; 39. დეფისი; 40. ლევირატი; 41. მეგრე; 42. ამანი; 43. ქათინაური; 44. თასი; 45. აცრა; 46. რთველი; 47. პა; 48. კინტო; 49. ნადეჟდა; 50. ემისია; 51. თართი; 52. ისრიმი; 53. რელსი; 54. ათი; 55. ნაფოტი; 56. ჩანგი; 57. ტიპი; 58. ნაი; 59. ნავთი; 60. თუთია; 61. უკან; 62. მარტი; 63. დია; 64. ელი; 65. ნორისი; 66. თამრო; 67. არმია; 68. ლეო; 69. მკათათვე; 70. ბრაუნაუ; 71. რუმბი; 72. ფილადორი; 73. ირისი; 74. მაჟალო; 75. ეტა; 76. და; 77. იდიია; 78. სუ; 79. რეი; 80. მნე; 81. დიორამა; 82. სურო; 83. „სიტროენი“.

მე-12 გვერდი: 1. მეტამორფოზი; 2. სტარტერი; 3. მაზდეანობა; 4. ტუპოლევი; 5. მორი; 6. ტორიჩელი; 7. რევოლვერი; 8. ეირე; 9. გესლი; 10. სტელა; 11. ირავადი; 12. ტრაპეზი; 13. რევერსი; 14. ალვანი; 15. ოდალისკი; 16. აკვედუკი; 17. არბატი; 18. ლისი; 19. წნევა; 20. ჩალა; 21. კარეტა; 22. ვლადი; 23. არვე; 24. ოლივიე; 25. ინდრა; 26. „მერანი“; 27. რაბლე; 28. აბო; 29. დინგო; 30. მოა; 31. რისკი; 32. სინაი; 33. მოირა; 34. ოსტი; 35. ალფა; 36. „ცისკარა“; 37. დრუიდი; 38. სარმა; 39. ლაპი; 40. პაი; 41. აქსიომა; 42. ზნე; 43. ჯორი; 44. იკი; 45. ვიზა; 46. აზია; 47. ჯოან; 48. ოქმი; 49. აფრა; 50. ალი; 51. ხავსი; 52. სეზარი; 53. ნო; 54. აღუ; 55. რაუტი; 56. სი; 57. ფიცი; 58. „ხასანბეგურა“; 59. ლუქი; 60. რტო; 61. კასიო.

კაცის მიმზიდველობას ხელები განსაზღვრავს

ასეთი დასკვნა გააკეთეს ბრიტანელმა მეცნიერებმა. მათ, ფრანგ და შვეიცარელ კოლეგებთან ერთად, გაარკვიეს, რომ ქალებთან წარმატების მეტი შანსი აქვთ ძლიერი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომელთა არათითიც საჩვენებელზე გაცილებით გრძელია. თითების ასეთი პროპორციის მქონე ქალები კი მამაკაცური ხასიათითა და აგრესიულობით გამოირჩევიან. რამდენადაც მცირეა ეს შეფარდება, იმდენად რბილია ადამიანის ხასიათი. სწავლულთა აზრით, ამ მოვლენის მიზეზი ორგანიზმში ტესტოსტერონის შემცველობაა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის გარეგნობაზე, კერძოდ კი, ხელის მტევნის ძვლების პროპორციაზე, სახის ნაკვთებსა და წყობაზე. სტირლინგის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ არათითის სიგრძე წარმატებას „განაპირობებს“ არა მხოლოდ პირად ფრონტზე, არამედ კარიერაშიც. მოკლედ, ასეთი მამაკაცი ექსტრავერტია, გამოირჩევა მიზანსწრაფულობით და ფიზიკური ძალით, თუმცა, სხვებზე ხშირადაც არღვევს კანონს. გრძელი არათითის მქონე ქალები კი გაცილებით წარმატებულები არიან.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(ᲣᲐᲙ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ბაბანეულაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაბახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, ბულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების ნი ეკიპაჟი ემსახურება.

ვართოგა